ბილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 იანვარი, 2019 №4 (7859) ფასი: 60 თეთრი

პაატა იმნაძე: „გრიპის ვირუსი დასტაბილურდა და კლება დაიწყო“

გვ.2

„ივანიშვილმა უკვე დაიწყო კანაფის წარმოება“

ზვიად კუპრავა: „ყვარელთან მივაგენით 4 ჰექტარზე გაშენებულ კანაფის პლანტაციას“

გვ.6

„ასეთი პლანტაციები საქართველოს სხვა რეგიონებშიც არის“

„ვისაც ერის გადაშენება არ უნდა, 8 იანვარს აქციაზე ვეპატიჟებით“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ 2020 წლამდე ვერ მიაღწევს“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებაში“ ძალაუფლებისთვის ბრძოლა მისი გაყოფით დამთავრდება“

გვ.3

„ხელისუფლების ლევან ვასაძისთვის გადაბარება იგეგმება“

„ივანიშვილი კობახიძის კლანს იმიტომ აძლიერებს, რომ მოიშოროს“

გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „გახარიამ პრემიერობის შანსები კიდევ ერთხელ დაკარგა“

სამართალი

გვ.7

პეკინზე 2 მამაკაცი დაჭრეს, ერთის მდგომარეობა მძიმეა

„ექიმი ნუკრი ბერიშვილი პაციენტმა ნარკოტიკის გამო ცემა, პაციენტი კი სახლში გაუშვეს“

თამარ ნიშნიანიძე: „რა უფლებით აბრალებენ ჩემს შვილს, რომ ნარკოტიკები მოითხოვა?!“

31 წლის გიორგი უბილავა ზუგდიდის სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს

ISSN 1987-9385

3 ირაკლი ალადაშვილი: „ავტომატს მიუშვერენ და ეუბნებიან, მოდი აქ, თორემ გესვრიო“

4 როგორ მოვიქცეთ, რომ პიროტექნიკამ არ დაგვაზიანოს?

5 რეგიონში აშშ-რუსეთის დაპირისპირება მწვავდება

7 აბაშაში 2 პოლიციელის დაჭრის გამო ძებნილი დააკავეს

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ 2020 წლამდე ვერ მიაღწევს“

შექმნიან თუ არა მმართველ გუნდზე განაწყენებულები ახალ ფრაქციას

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, შესაძლოა, ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძეს პარტია „ქართული ოცნება“ დაატოვებინონ და მათ თქვენი ბედი გაიზიარონ?

– არა, არა, ამას გამოვრიცხავ. არა მგონია, მთლად ამ გზას დაადგენ. მაშინ პარტიას სახელიც უნდა გამოუცვალონ და „ქართული ოცნება“ კი არა, სხვა სახელი უნდა შეურჩიონ. ამდენი ჭკუა ეყოფათ, რომ ახლა ეს ხალხი არ გარიცხონ პარტიიდან.

– თქვენ მაინც რას უკავშირებთ ამ ყველაფერს?

– სრულიად არაჯანმრთელი პროცესი მიდის „ქართულ ოცნებაში“. ეს ფაქტია. როდესაც ხელისუფლება ასეთი კინკლაობით ირღვევა, ძალიან ცუდია. ცუდია ამ ქვეყნისთვის. ეს ხალხი საქმის კეთებით უნდა იყოს დაკავებული და ჩვენ რას ვუყურებთ? – საქმეების გარჩევას. ყოველდღე ხალხს შორდებიან, ნაკლებად ადარდებთ ხალხის პრობლემები, მაგრამ ადარდებთ საკუთარი სკამების ბედი. ამ პროცესთან გვაქვს საქმე.

– გამოდის, კობახიძემ გაიმარჯვა?

– არა! კობახიძე არც არაფერს წარმართავს და არც გაუმარჯვია. ივანიშვილის გარდა, პროცესებს ვერავინ წარმართავს. ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა ბიძინა ივანიშვილის მმართველ რგოლში დაბრუნება.

– ხომ დაბრუნდა?

– არა, მე ვამბობ, მთავრობაში დაბრუნდეს, პრემიერის რანგში. ეს რგოლი მას არაფერში სჭირდება, ვგულისხმობ, უმრავლესობის ლიდერები რომ ჰქვიათ მათ. ესენი მაინც ვერავის ელაპარაკებიან და ყველასთან მაინც თვითონ უწევს საუბარი, ამიტომ ჯობია, დაბრუნდეს პრემიერის პოსტზე, ან ძალიან გაუჭირდება, რადგან უსამართლობას ისეთი ძალა აქვს, რომელიც ასუსტებს იმ ადამიანს, რომელიც უსამართლობას ჩადის.

– უსამართლობა ვისთან მიმართებით, ბესელიასთან?

– უსამართლობა არის ის, როდესაც ამ მოსამართლეების მიმართ საზოგადოებას აშკარად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნია და რომ მოინდომებ, ამ ადამიანებს ჩააბარო ქვეყანაში სამართალი. ეს არის ყველაზე დიდი უსამართლობა. ამ შემთხვევაში საზოგადოების აზრი გადამწყვეტია, რომელსაც „ქართული ოცნება“ არ ითვალისწინებს.

– თუმცა, მდინარაძე რომ ამბობს, ამ ორ პროცესს ერთმანეთთან ნუ დავაკავშირებთო?

– ერთი საინტერესოა, მდინარაძემ ბოლოს სიმართლე როდის თქვა?! რომ ამბობს, სააკაშვილის დროს დამიჭირესო, კი დაიჭირეს, მაგრამ იმ მიზეზის გამო კი არა, რაც თქვა, მე როგორც ვიცი, ქრთამის აღებისთვის დაიჭირეს.

– პარლამენტში ახალი ფრაქცია შეიძლება შეიქმნას?

– ჯერ ამაზე საუბარი ადრეა, ვნახოთ, როგორ შეიძლება, პროცესები განვითარდეს.

– გამორიცხავთ?

– არა, გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ. ერთადერთი, რასაც გამოვრიცხავ, არის ის, რომ ოდესმე მომავალში საქართველოს ასეთი მმართველი გუნდი ჰყავდეს.

– ბატონო დავით, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი 2020 წლის არჩევნებთან არის ბმაში?

– როგორ გგონიათ, ასეთი გაპარტახებული „ქართული ოცნება“ ადვილად მიაღწევს 2020 წლამდე? ჯერ 2019 წელი გადააგორონ. ძალიან გაუჭირდებათ, ადამიანები ერთმანეთის მიმართ ისეთ ნაბიჯებს დგამენ, რომ ისეთი ხალხიც კი გაჩნდა, რომ მამის დაპატიმრებას მიესალმებიან. ამ ფონზე როგორ უნდა მიაღწიონ?!

– „ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა შეიძლება, ვერ შეინარჩუნოს?

– რა საკონსტიტუციო უმრავლესობა?! ისე, რა მნიშვნელობა აქვს, შეინარჩუნებენ თუ არ შეინარჩუნებენ, აქ მთავარი ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სახე დაკარგა.

ახლა უმნიშვნელოვანესია ორი რამ: ერთი, საბანკო სექტორის რეფორმირება, რომელიც ეკონომიკას გააჯანსაღებს და მეორე, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა. ამ ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის მაგივრად ჩვენ ვხედავთ, თუ რით არიან დაკავებული. თუ გონს არ მოვლენ ერთ თვეში, თვე-ნახევარში და არ დაიწყებენ ძირეულ ცვლილებებს, მაშინ გაზაფხულზე ძალიან დიდ საპროტესტო ტალღას მიიღებენ. მაშინ პარლამენტიდან პოლიტიკური პროცესები ქუჩაში გავა.

– რას გულისხმობთ? ოპოზიცია გაზაფხულზე აქციებს ისედაც აანონსებს...

– არა, ვინ რას აანონსებს, არ ვიცი. მე ვამბობ, დეპუტატები, რომლებსაც გული შეგვტკივა და ვერ ვაღწევთ სამართლიანობას, ამას გარეთ გავიტანთ.

– თქვენ ამბობთ, რომ დეპუტატები, რომლებიც პარლამენტში ხართ, შეიძლება, ქუჩაში გამოხვიდეთ გარკვეული საკითხების მოთხოვნით?

– არა, ქუჩა პოლიტიკაში ძალიან დიდ დატვირთვას ატარებს, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში.

– მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში თუ იცით, ვინ შეიძლება იყოს „ოცნების“ კანდიდატი?

– არა, არ მსმენია, მაგრამ მთაწმინდის ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს.

– რატომ?

– ამ ყველაფრის მერე?! მეორე ტურის წინ მიცემულ დაპირებებს სიტყვასიტყვით შეახსენებენ და მეც მათ შორის შევახსენებ. საკმაო დრო იქნება იმ პერიოდისთვის გასული, რომ მოვკითხოთ.

პაატა იმნაძე: „გრიპის ვირუსი დასტაბილურდა და კლება დაიწყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე პასუხობს.



– ბატონო პაატა, ქვეყანაში გრიპის ვირუსი მძვინვარებს. საზოგადოება პანიკაშია. იმატა დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვმაო. რა მდგომარეობაა, როგორია ბოლო მონაცემები?

– არავითარ შემთხვევაში, პირიქით, ავადობა დასტაბილურდა, ცოტა კლებისკენ წავიდა გასულ კვირაში. როცა მატება იყო, გასაგებია, რომ მძიმე პაციენტიც მეტი იყო, ისეთები, ვინც საავადმყოფოებში მოხვდა. ეს გასაგებიცაა, როცა ბევრია, უფრო მეტი მოხვდება საავადმყოფოში.

– პრეპარატ ტამიფლუს სერიოზული დეფიციტი შეიქმნაო, ამაზე რას იტყვით?

– საფთიაქო ქსელში შეიქმნა დეფიციტი, ამიტომ სამინისტრომ თავისი მარაგებიდან გადასცა საფთიაქო ქსელს. ამავე დროს, გაფართოვდა ის კატეგორია, ვისთვისაც საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებში უფასო იყო აღნიშნული პრეპარატი. ადრე უფასო იყო მარტო ორსულებისთვის, შემდეგ ამას დაემატა სოციალურად დაუცველები, ორი დღის წინ კი კიდევ გაფართოვდა ეს სია და დაემატა ყველა რისკის ჯგუფის მქონეთათვის. აღნიშნულ პრეპარატს უფასოდ მიიღებენ ბავშვები და პენსიონერებიც.

– არაერთგვაროვანი შეფასებები ისმის ტამიფლუსთან დაკავშირებით. სოციალურ ქსელში აღნიშნული პრეპარატის ანტიკამპანია მიმდინარეობს. ევროპაში აიკრძალა, რომ საზიანოა და ასე შემდეგ. ამაზე რა პოზიცია გაქვთ?

– ყოფილა რამე საქართველოში, რის შესახებაც სოციალურ ქსელში სხვადასხვა მოსაზრება არ გავრცელებულიყოს?! მეტი სხვა, არც ერთ გაიდლაინში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა უკეთესი სხვა არაფერი არის დედამიწაზე, გარდა ამ პრეპარატისა. ეს პრეპარატი მიღებულია მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში გრიპის სამკურნალოდ.

– ითქვა ისიც, რომ ორსულთათვის საზიანოა, ნაყოფს ვნებსო.

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აი ასეთმა ადამიანებმა გამოიწვიეს ის, რომ, სამწუხაროდ, ყველა სეზონზე გვყავს ჩვენ ორსულებში გარდაცვლილები, მაშინ როცა მათთვის წამალი ყოველთვის უფასო იყო. ასეთი ადამიანები, ვინც ამ დეზინფორმაციას ავრცელებს, ხელს უწყობენ იმას, რომ ადამიანები დაღუპონ.

– რა ეტაპზე უნდა მიიღონ პრეპარატი, პირველივე დღეებში?

– რა თქმა უნდა, გაცილებით ეფექტურია, თუ პირველივე დღეებში მიიღებენ. ამიტომაც არის, რომ სია გაფართოვდა. საავადმყოფოებში დეფიციტი ისედაც არ გვქონია. პრეპარატი საკმარისადაა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები პრეპარატს გასცემენ უფასოდ.

– ისიც ითქვა, რომ უჭირთ პრეპარატის უფასოდ მიღება.

– მივიდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და მიიტანონ ექიმის ცნობა – ფორმა ასი და მიიღებენ პრეპარატს უფასოდ.

– რა მდგომარეობაა, გადაიარა პიკმა?

– ავადობის პიკმა ნამდვილად გადაიარა. არ ვიცი, პანიკას რატომ ქმნიან, როცა წინა წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ ასეთი მდგომარეობა ყოველ ზამთარს გვაქვს. ჩვეულებრივი ზამთარია. კი ბატონო, შარშან არ იყო, იმიტომ რომ შარშან ძალიან წყნარი ზამთარი იყო, მაგრამ ზუსტად ისეთივე სიტუაციაა, როგორიც შარშანწინ იყო. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, 2009-2010 და 2011-2012 წლებში რა ხდებოდა და როგორი მძიმე წლები გვქონდა.

– რისი თქმა გინდათ, რომ ეს აჟიოტაჟი გადაჭარბებულია? ლამის ყოველი მეორე ადამიანი გრიპითაა ავად... არიან გარდაცვლილები...

– ზამთარი გრიპის გარეშე არ არსებობს. მე მიჭირს პროცენტებზე ლაპარაკიო. როგორი სალაპარაკოა, რომ წელს ამდენი მოკვდა და გასულ წლებში ამდენი. ვინც მოკვდა, ის თავისი ოჯახისთვის 100%-ია და მე პროცენტებით როგორ ვილაპარაკო?! ვისთვის ბევრია, ვისთვის – ცოტა.

– არ დაელოდოთ ანალიზის პასუხს, არის თუ არა ეს ჰაშ ერთი ენ ერთი, მაშინვე მიმართეთ კლინიკებსო.

– რა თქმა უნდა, არავითარი დალოდება არ უნდა. გრიპი თუ არის, ეგ არის. სხვა გრიპი ამ ეტაპზე არც არის. ჩვენ კონტროლს იმიტომ ვატარებთ, დავადგინოთ, თუ რომელი ვირუსი მძლავრობს. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი გრიპი დაგემართებათ და რომელი დაგიმძიმდებათ? ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს ახლა ვირუსის დადგენას. ვირუსს ჩვენ ვადგენთ იმისთვის, რომ ვიცოდეთ, ქვეყანაში რა დადის.

– ლუგარის ლაბორატორიას უკავშირებს ბევრი მომძლავრებულ ვირუსებს.

– ვიღაცები ამუშავდნენ, როგორც ჩანს, დავალება მიიღეს, რომ კიდევ შეუტიონ ლაბორატორიას. მიიღეს ისევ დავალება და დაიწყეს ყაყანი. 1914-18 წლების ეპიდემია თუ არ გაუგიათ, ეს მათი პრობლემაა, გაუნათლებლები არიან, სხვათა შორის, ისიც ჰაშ ერთი ენ ერთით იყო გამოწვეული, 50-დან 100 მილიონამდე ადამიანი მოკლა დედამიწაზე. მაგასაც ჩვენ თუ არ დაგვაბრალებენ, რომ მაშინ გამოვუშვით ჩვენი ლაბორატორიიდან, ძალიან კარგი იქნება. ახლა გაიგეს, რომ თურმე გრიპი არსებობს დედამიწაზე?!

– რუსული მედიის მხრიდან წინა თვეებში სერიოზული შემოტევა იყო ლუგარის ლაბორატორიაზე.

– იყო და კიდევ უფრო გამწარებული არიან, რადგან ჩამოვიყვანეთ 22 ქვეყნის ექსპერტი და დადეს დასკვნა, რომ ყველაფერი შეესაბამება ყველა საერთაშორისო და უსაფრთხოების ნორმას. ამაზე კიდევ უფრო გამწარებული არიან.

– აცრების შესახებ რას იტყვით, დაგვია-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებაში“ ძალაუფლებისთვის ბრძოლა მისი გაყოფით დამთავრდება“

„ირაკლი კობახიძის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობამ, შესაძლოა, ივანიშვილი მისი ჯგუფის მძევლად აქციოს“

იაგო ნაცვლიშვილი

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატების თემაზე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ჯგუფებს შორის დაპირისპირება სულ უფრო მწვავდება. რამდენად შორს წავა პროცესი და რამდენად რეალურია „ქართული ოცნების“ დაშლა ან გაყოფა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს:

– „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირების მორიგი ტალღაა. რეალურად ეს უკავშირდება უზენაესის მოსამართლეების კანდიდატებს თუ ეს თემა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა ბესელიას ჯგუფმა კობახიძის ჯგუფის წინააღმდეგ?

– ერთიც არის და მეორეც. თავისთავად მოსამართლეების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად გრძელვადიანი გავლენის მომხდენია ამ ქვეყნის მომავლისთვის და რამდენიმე თაობისთვის მომავალში, რომ მას სხვა რომელიმე საკითხის დანამატად ვერ განვიხილავთ.

ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვამბობდი, რომ პრეზიდენტზე გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურები, მით უმეტეს, რომ წევრები საერთოდ უვადოდ ინიშნებიან. ამავდროულად, ვერც იმას გავექცევით, რომ „ოცნებაში“, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, კერძოდ „ოცნების“ სიისთვის მზადება. ვერც დღევანდელი უმრავლესობის წევრები გაექცევიან იმას, რომ მათი უმრავლესობა საპარლამენტო სიაში ვერ მოხვდება.

– ანუ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის ბრძოლა დაიწყო?

– კი, ზუსტად ასეა. პოლიტიკურ მზისქვეშეთში ადგილის მოზომვა დაიწყეს „ქართულ ოცნებაში“ არსებულმა სხვადასხვა ჯგუფებმა. „ოცნება“ ერთიან მონოლითზე დაფუძნებული არასდროს ყოფილა. ის ყოველთვის იყო სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ნაკრები, მაგრამ ახლა ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ოცნების“ სიაში დღევანდელი უმრავლესობა ვერც ერთი ლოგიკით ვერ მოხვდება. ამიტომ, რასაც ახლა ვუყურებთ, მხოლოდ დასაწყისია იმ პროცესების, რასაც ჰქვია „ქართულ ოცნებაში“ ძალაუფლებისა და გავლენისთვის ბრძოლა. დიდი ალბათობით, ეს გაყოფით დამთავრდება.

თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მოსამართლეების თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სრულიად ბუნებრივად აღმოჩნდა ლაკმუსის ქაღალდი „ოცნებაში“ მიმდინარე ამბების გამოსაკვეთად.

ჯერჯერობით სახეზე გვაქვს 2 ჯგუფის დაპირისპირება. პირობითად ძველებისა და შედარებით ახლების, ანუ იმ ჯგუფის, რომელიც „ოცნებას“ 2012 წლიდან მოჰყვება და მეორე ჯგუფის, რომელიც მმართველ პარტიას 2016 წელს შეუერთდა.

– გია ვოლსკი საით არის, რომელიც პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. თქვენ საით ხედავთ მას?

– საინტერესო კითხვაა და ამიტომ ვთქვი, რომ პირობითად ჩანს 2 ჯგუფი. დანარჩენები ამ დაპირისპირებაში ღიად არ ერევიან, თუმცა ვინც ზედაპირზე არ ჩანს, მათშიც შეიძლება, სხვა ჯგუფები გამოიკვეთოს, ანუ ის ადამიანები გადაჯგუფდებიან ამ ორ ჯგუფში – კობახიძისა და ბესელიას ჯგუფებში, მაგრამ, იქნებიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ თავს არც ერთ და არც მეორე ჯგუფს არ მიაკუთვნებენ.

ამაზე რეპლიკები უკვე მოვისმინეთ, ხაზს ნუ ავლებთ ჩვენ მაგივრად და თუ არ გვაქვს გადაჯგუფების სურვილი, რატომ გვაიძულებთ ამის გაკეთებასო. პერსონალიებს თუ მივყვებით, რთული იქნება მომავლისა და ამ ადამიანების ადგილსამყოფელის განსაზღვრა, მაგრამ ამ ეტაპზე რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ამ ორ ჯგუფზე მეტი ინტერესთა ჯგუფია „ოცნებაში“.

– ანუ შესაძლებელია, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო მეტ ნაწილად დაიშალოს და მხოლოდ 2 ნაწილად არ გაიყოს?

– არ არის გამორიცხული. გაფორმდება თუ არა დაშლა კიდევ უფრო მეტ ნაწილად, ამის პროგნოზირება გამიჭირდება, მაგრამ ესენი რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ვერ „მოძოვენ“, ცხადია.

– ანუ გგონიათ, რომ ერთიანობას ვერ შეინარჩუნებს პარტია?

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან გაუჭირდებათ.

– დაპირისპირების ერთ-ერთმა ფიგურანტმა ლევან გოგიჩაიშვილმა თქვა „პალიტრანიუსის“ ეთერში, რომ ერთიანობის პრობლემა არ არის, მაგრამ მოსამართლეების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და პოზიციას არ დავთმობთო.

– ლევან კობერიძემაც თქვა, ერთიანობის პრობლემა არ არსებობსო, მაგრამ ერთია, რას ამბობენ ღიად და მეორეა, რა პროცესები მიმდინარეობს შიგნით.

– დიდ ინტერესს იწვევს ივანიშვილის პოზიციაც. როდესაც ამხელა აჟიოტაჟია, მმართველი პარტიის ლიდერმა საკუთარი პოზიცია არ უნდა დააფიქსიროს?

– მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი ამ წუთას „ოცნების“ შიგნით ძალთა დათვალიერებას ახდენს. თავისთავად ამ პროცესში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და საბოლოოდ ფორმირდება ინტერესთა ჯგუფები, რაც აუცილებელია მომავალი პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

ამ ეტაპზე იკვეთება კობახიძის ჯგუფი თუ კლანი, რომლის დამახასიათებელი ნიშანი არის სიმპათიები იუსტიციის საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების ათკაციან სიასთან მიმართებით, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია და რითიც საზოგადოება უკმაყოფილოა, რადგან წინა ხელისუფლების მთავარი სადამსჯელო რაზმი იყო სასამართლო სისტემაში. ყველა დეპუტატი, ვინც კობახიძის წინააღმდეგ განცხადებებს აკეთებს, ხაზგასმით ამბობს, რომ სწორედ კობახიძე წარმოადგენს ამ მოსამართლეების ინტერესს საქართველოს პარლამენტში.

ჯერ კიდევ დეკემბერში იყო ინფორმაცია იმაზე, რომ კობახიძეს გადააყენებენ პარლამენტის თავმჯდომარეობიდან და მას გაუშვებენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, რაც წარმოუდგენელი რამე გახლავთ. პარლამენტის თავმჯდომარე თავის ფუნქციას ამოწურავს წელიწად-ნახევარში, მაშინ როდესაც უზენაესის თავმჯდომარეს 10 წლით ვირჩევთ.

თუ კობახიძე გადავა უზენაესის თავმჯდომარედ, 2012 წლის შემდეგ პირველად ქართულ პოლიტიკაში ჩვენ ვიხილავთ ერთი პოლიტიკური კლანის უპრეცედენტო გაძლიერებას. კონფიგურაცია იქნება ასეთი: კობახიძე უზენაესის თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭო, რომელიც სასამართლოს წიაღში თავისი საცეცებით, ფაქტობრივად, რვაფეხაა და სასამართლოს თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევს და პლუს კობახიძის ძალიან სერიოზული დაჯგუფება საქართველოს პარლამენტში და მისი ხალხი პარტიულ სტრუქტურებში.

თუ ასეთი კონფიგურაცია დალაგდა, ეს იქნება ძალიან სერიოზული რაღაც, რაც ქართულ პოლიტიკას არ ახსოვს 2012 წლიდან დღემდე. ეს იქნება დაჯგუფება, რომელიც თავის პირობებს წაუყენებს არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ სხვა ფლანგებს, არამედ ბიძინა ივანიშვილსაც.

– თუმცა, ივანიშვილის გარეშე ალბათ ეს ვერ მოხერხდება.

– არა, ვერ მოხერხდება, მაგრამ თუ ეს მოხერხდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ისეთი მორჩილები იქნებიან, როგორც მანამდე. არ მგონია, რომ ეს ივანიშვილის ინტერესებში იყოს, რადგან იგი გამოირჩეოდა „ოცნების“ შიგნით ძალთა ბალანსისა და ინტერესთა ჯგუფების ბალანსის შენარჩუნების ინიციატივით.

მეორე მხრივ, თუ გვერდზე გაიწია ძველი თაობა, პარტიულ სტრუქტურებშიც წამყვანი ისევ კობახიძის ეს დაჯგუფება იქნება. აქედან გამომდინარე, არა მგონია, კობახიძეს ამგვარი გაძლიერების საშუალება მისცენ, მით უმეტეს საზოგადოებაში ასეთი განწყობების ფონზე.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, როგორი იქნება მეორე ჯგუფის, ე.წ. ძველების ტაქტიკა.

მათთან ასოცირებული ყველა დეპუტატი ღიად ადებს ხელს კობახიძეს ამ ლობირებასა თუ ლოიალობაში ამ ოდიოზური მოსამართლეების მიმართ. დეპუტატების ეს ნაწილი ცდილობს, რომ კობახიძეს მიეკეროს ამ ოდიოზური მოსამართლეების ლობისტის დამღა, რითიც კობახიძეს არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა გაუჭირდება, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის შენარჩუნებაც.

ვინ მოიგებს ამ ბრძოლას. მოახერხებს თუ არა ეს ჯგუფი კობახიძის პოზიციების შესუსტებას და შემდეგ მის გაწევას პარლამენტის თავმჯდომარეობიდან, თუ კობახიძე მოახერხებს გაცილებით სასურველი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას, უახლოეს ორ თვეში გამოჩნდება.

ივანიშვილი სწორედ ამ დაკვირვების რეჟიმშია, ვის რა შეუძლია დამოუკიდებლად ამ ორი ჯგუფიდან და ვინ უფრო შორს წავა. შეიძლება ასეც მივუდგეთ, ვინ რისი მკადრებელია. წმინდა პოლიტიკური მენეჯმენტის თვალსაზრისით ივანიშვილის მიდგომა სწორია, რათა შეაფასოს კრიტიკულ სიტუაციებში პოლიტიკური გუნდების სიცოცხლისუნარიანობა და მორალურობა, რამდენად მორალურები ან ამორალურები არიან.

მთავარია, ამ შერკინებისას საბოლოო ჯამში ქვეყანა არ დაზარალდეს. თორემ ლოკალურად ასეთი სიტუაციები პოლიტიკურ პროცესს არ ვნებს, პირიქით, დაკრისტალდება პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები, რომლებიც დღეს „ქართულ ოცნებაშია“.

არც ის გამოვრიცხოთ, რომ „ქართული ოცნება“ დაიშალოს და რამდენიმე პოლიტიკური პარტია ვიხილოთ. შეიძლება, აქეთკენაც წავიდეს პროცესი, რომ „ოცნების“ ნიადაგზე ამოიზარდოს რამდენიმე პოლიტიკური ძალა.

– „ოცნების“ შიგნით ამ რესურსს ხედავთ, რომ რამდენიმე პარტია შეიქმნას, თან ისე, რომ ეს ძალები პარლამენტშიც მოხვდნენ?

– თუ ადამიანებს გადავთვლით, წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით ეს რესურსი არის, მაგრამ ინტელექტუალურ-იმიჯური თვალსაზრისით რესურსი „ქართულ ოცნებაში“ უმცირესია.

– ამას ვგულისხმობ. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, ჟურნალისტებსაც გვიჭირს მოძებნა ისეთი დეპუტატის, რომელსაც აზრიც მოეკითხება და გავლენაც აქვს პარლამენტში.

– გეთანხმებით. ზუსტად ეს არის. „ქართული ოცნების“ რესურსი ხომ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია! ამ შემთხვევაში საპარლამენტო ნაწილზე ვსაუბრობ. ივანიშვილი ვერ გაიყოფა და ის რომელიმე ჯგუფთან დარჩება ასოცირებული. დამოუკიდებლად პარლამენტში რომ მოხვდნენ, არც ერთ ჯგუფს არ აქვს ამის რესურსი.

რამდენიმე გვარი შეიძლება დავასახელოთ, თუ ისინი სწორ კონფიგურაციას დაალაგებენ. არასდროს დამიმალავს ჩემი სიმპათია ლევან კობერიძის მიმართ, იგივე რომან კაკულია, ბექა ნაცვლიშვილი... რამდენიმე გვარია, რომლებიც ნათელი სახეებია ამ პარლამენტში, მაგრამ ამ გაწამაწიაში ყოველთვის იჩრდილებოდნენ ხოლმე. მათ აქვთ პოლიტიკურად ინდივიდუალური შანსი, მაგრამ რამდენად შეძლებენ ისინი ამის გადათარგმნას პოლიტიკურ პარტიად, ამაზე საუბარი გამიჭირდება. სხვა თუ არაფერი, ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული.

პარლამენტს გარეთაც არის რესურსი. იგივე კახა კალაძე, გიორგი გახარია... ამათაც აქვთ რესურსი.

– კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ გახარია ჩააჩოჩეს.

– ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ.

– ის ფაქტი, რომ შიდა დაპირისპირებაში მთავრობის წევრები ჩართული არ არიან, რაზე მიანიშნებს? ისინიც დაკვირვების რეჟიმში არიან თუ რა პროცესთან გვაქვს საქმე?

– ეს აბსოლუტურად სწორია, აღმასრულებელი ხელისუფლება ამაში არ უნდა ერეოდეს. ეს პარლამენტის პოლიტიკური პასუხისმგებლობაა, რომ დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს მოსამართლეთა სია.

– მაგალითად, თეა წულუკიანმა დააფიქსირა თავისი პოზიცია.

– კი, თუმცა ეს იმიტომ, რომ ის არის ის ფიგურა, რომელიც სასამართლო რეფორმას წარმართავდა „ქართულ ოცნებაში“. ის, რომ იუსტიციის ასეთი საბჭო მივიღეთ, დიდწილად მისი დამსახურებაცაა. ამიტომ ის ვალდებული იყო, პოზიცია გამოეხატა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს არანაირად არ ეკუთვნით ჩარევა არც სასამართლო და არც საპარლამენტო ხელისუფლების უფლებამოსილებებში. ასე რომ, ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. თუნდაც დაიშალოს „ოცნება“, ივანიშვილისთვის წამგებიანი ესეც არ არის.

– ვადამდელი არჩევნები რამდენად მოსალოდნელია და ხომ არ არის მომგებიანი ივანიშვილისთვის მისი ახლა გამართვა ძველი სისტემით, სანამ საკონსტიტუციო ცვლილებები იქნება?

– არა, ახლა ძალიან გაუჭირდება. ახლა პარტიულ სტრუქტურებში წამყვანი როლი „ოცნების“ ახალ ფრთას აქვს. ამიტომაც, სანამ არ გაირკვევა პოზიციები, იქამდე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სრული კარტბლანშის მიცემა იქნება ამ ფრთისთვის. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ დღეს არ არის ის სიტუაცია, როცა ივანიშვილს აწყობს ვადამდელი არჩევნები და კობახიძისთვის კარტბლანშის მიცემა და ისეთი გუნდის წინა პლანზე წამოწევა, რისი მძევალიც, შესაძლოა, თავად იქცეს ბიძინა ივანიშვილი.

თუ ყველა ნაწილში კობახიძე იქნება წამყვანი, ივანიშვილს აღარ ეყოლება ძალა, რომელიც ამ ფრთას დააბალანსებს.

– მოსამართლეების თემაზე ოპოზიციის ცალკეული განცხადებები კი გვესმის, მაგრამ მთლიანობაში გამოთქმულის შთაბეჭდილება რჩება. სად ხედავთ ამ პროცესში ოპოზიციის როლს?

– გეთანხმებით, ოპოზიციის როლი ამ პროცესმა უკანა პლანზე გადასწია. დღეს ყურადღების ცენტრში მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნებაა“ თავისი სხვადასხვა ფლანგით. ყველაფერი ამ გადალაგებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი პოლიტიკური ძალების გამოსვლა დღის წესრიგში არ იქნება.

ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ მოსამართლეების თემა იქნება. დღეს კი უკანა პლანზეა ოპოზიცია, მაგრამ ასე იმიჯშერყეული „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებამდე ვერ მივა, თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა.

– ერთ-ერთ ინტერვიუში გვითხარით, „ოცნების“ შიგნით მტკივნეული პროცესები დაიწყებაო. სხვა თემებთან ერთად, ამ პროცესის დასაწყისსაც ხომ არ ვუყურებთ ახლა?

– რა თქმა უნდა, ესეც არის.

სალომე ზურაბიშვილი: „ვისურვებ, რომ ენგურის ხიდი ძალიან ახლო მომავალში გამაერთიანებელი ხიდი გახდეს“

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ზუგდიდის რაიონში, კონფლიქტის ზონასთან მდებარე რუხის საგუშაგოზე, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პოლიციელები მოინახულა. პრეზიდენტმა შსს-ს წარმომადგენლებს, რომლებიც რუხის საგუშაგოზე უსაფრთხოებასა და დანაშაულის პრევენციას უზრუნველყოფენ, შობა-ახალი წელი მიულოცა და მადლობა გადაუხადა შესრულებული საქმიანობისათვის. სალომე ზურაბიშვილი ენგურის ხიდზე მოსახლეობას კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესახებ გაესაუბრა.

– მე აქ ვიმყოფები მეორედ. პირველად ჩამოვედი, როგორც ახლად დანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრი. მას შემდეგ 15 წელზე მეტი გავიდა და ისევ აქ ვდგავართ. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა.

ვდგავართ იმ ხიდზე, რომელიც ყოფს ჩვენს მოსახლეობას. ორივე მხარეს ჩვენი მოქალაქეები არიან და ამიტომ მე მინდა, დღეს ახალი წელი და დამდეგი შობა მივულოცო მათ, ვინც ცხოვრობს გალში და ასევე, ჩვენს აფხაზ ძმებსა და დებს და ვისურვო, რომ ეს გამყოფი ხიდი ძალიან ახლო მომავალში მართლაც გახდეს გამაერთიანებელი ხიდი, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

მედიანიუსი

როგორ მოვიქცეთ, რომ პიროტექნიკამ არ დაგვაზიანოს?

საქართველოში ახალი წლის ღამეს პიროტექნიკის გამოყენების გამო, ჯამში, 40-მდე ადამიანი დაზიანდა. მათგან იაშვილის კლინიკაში 12 მოზარდი მოხვდა. 10-ს ოპერაცია ჩაუტარდა, ნაწილს კიდურების ამპუტაცია დასჭირდა.

პიროტექნიკის აფეთქების მიზეზად, ძირითადად, მისი არასწორი გამოყენება სახელდება, თუმცა საუბრობენ ამ პროდუქციის ვადაგასულობასა და შენახვის არასწორ პირობებზეც, რაც ასევე იწვევს მის აფეთქებას.

საკითხავია, რა სახის მონიტორინგია საჭირო მსგავსი პრობლემების თავიდან ასარიდებლად და ქვეყანაში ამ მიმართულებით თუ არსებობს უწყება, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის ხარისხს დაარეგულირებს.

– პიროტექნიკის აფეთქების ძირითადი მიზეზი მისი არასწორად გამოყენება იყო, თუმცა, როცა ააფეთქებ, მერე უკვე რთულია დაადგინო, ვადაგასული იყო თუ არასწორად შენახული. ხშირ შემთხვევაში, არასწორად ჯერ რეალიზატორები ინახავენ ხოლმე და შემდეგ – თვითონ მომხმარებელიც.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ პიროტექნიკაში შედის ნესტი, რის გამოც ის შემდეგ არასწორად ფეთქდება და აზიანებს ადამიანს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი მიშა ფეიქრიშვილი.

მიშა ფეიქრიშვილი:

– პრობლემა არის ის, რომ მოქალაქეები არ უკვირდებიან პიროტექნიკის ინსტრუქციას, იმიტომ, რომ თვისობრივად სხვადასხვანაირია პიროტექნიკა. არის სიტუაციები, როდესაც არის პიროტექნიკის ერთი სახეობა, რომელიც წაკიდებიდან 3-4 წამში ფეთქდება და ასევე არის ისეთი, რომელიც 7-8 ან 10 წამში ფეთქდება. ასეთ დროს, ადამიანი, რომელსაც გონია, რომ 3 ან 4 წამში არ აფეთქდა პიროტექნიკა და არ ფეთქდება, ფიქრობს, რომ ის ან წყობიდან არის გამოსული, ან არ მუშაობს, შემოწმებას იწყებს და ამ დროს ფეთქდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემოწმდეს, კონკრეტული პიროტექნიკა რამდენ წამში იწყებს მოქმედებას.

მისი თქმით, არასრულწლოვნებზე პიროტექნიკის მიყიდვის აკრძალვამ ამ მიმართულებით ვითარება, შესაძლოა, ვერ შეცვალოს, რადგან შეიძლება სრულწლოვანმა იყიდოს პიროტექნიკა, თუმცა, საბოლოოდ, ის არასრულწლოვნის ხელში აღმოჩნდეს.

– ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ისევ და ისევ მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ, რომ ბავშვები ასეთ დროს უმეთვალყურეოდ არ უნდა იყვნენ დატოვებული, – ამბობს მიშა ფეიქრიშვილი.

განსხვავებული პოზიცია აქვს იურისტ ვასილ კაჭარავას, რომელიც თვლის, რომ ახალი რეგულაცია არასრულწლოვნებზე პიროტექნიკის აკრძალვის შესახებ ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება:

– სულ არაფერს, ჯობს ეს რეგულაცია, რადგან მშობელი რომ იყიდის, ეცოდინება, როგორ გამოიყენოს, უფრო გააკონტროლებს. ასე რომ, ესეც სერიოზული გადადგმული ნაბიჯი იქნება. თუმცა, სხვა უფრო სერიოზული, პროფესიული, კვალიფიციური ზომებიცაა მისაღები და რადიკალური, რა თქმა უნდა.

– პიროტექნიკაზე ინსტრუქცია ქართულ ენაზე არ წერია, უმეტესად ჩინურ ენაზეა, რადგან ექსპორტი ძირითადად ჩინეთიდან ხორციელდება. ინსტრუქციის გასაგებ ენაზე არსებობაც აუცილებელი პირობაა უსაფრთხოებისთვის, ამ მხრივ რა რეგულაციებია გასატარებელი?

– როგორც საკვებ პროდუქციას აწერია თავისი გამოყენების წესები ქართულად, ისე უნდა ეწეროს პიროტექნიკაზე, რომლის არასწორი გამოყენება საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლისთვის. უმჯობესია, ამაზე ერთი სახელმწიფო სტანდარტი შემუშავდეს.

– ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს უწყება, რომელიც პიროტექნიკის პროდუქციის ხარისხს და რეალიზაციას დაარეგულირებს. რატომ არ ჩქარობს სახელმწიფო ამ რეგულაციის შემოღებას?

– პარლამენტს კანონი უნდა მიეღო ამის აკრძალვის და რატომ გადადეს, ჩემთვის გაუგებარია. მკაცრი კონტროლი უნდა იყოს, მაგრამ ეს დროულად უნდა მიღებულიყო, სანამ ბავშვები და უფროსები დაშავდებოდნენ. ახალი წლის ბოლოს რატომ უნდა ხდებოდეს ამ რეგულაციების შემოღება, გასაკვირია. უმჯობესი იქნებოდა, დეკემბრამდე, ნოემბრამდე მიეღოთ. პირველად ხომ არ ხდება ასეთი შემთხვევები.

ამ რეგულაციით ვიღაცები დიდ მოგებას კი დაკარგავენ, მაგრამ ამ ყველაფერს დრამატული და ლამის ტრაგიკული სახე აღარ ექნება. რამდენიმე იურისტი და ეკონომისტი უნდა დასხდნენ და შესაბამისი ზომები შეიმუშაონ წელს მაინც.

– პიროტექნიკა იყიდება ღიაცის ქვეშ, სადაც მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექის სიჭარბეა, რაც აზიანებს პიროტექნიკას. ამ მიმართულებით რა სახის რეგულაცია უნდა გატარდეს და საჭიროა თუ არა ყოველწლიური მონიტორინგი პიროტექნიკის ვარგისიანობის შესამოწმებლად?

– კარგი პოლიცია გვყავს, სხვადასხვა აღმასრულებელი სტრუქტურა, ფინანსური პოლიცია და გარკვეული მონიტორინგი უნდა დააწესონ. უზარმაზარი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც უზარმაზარ ხელფასებს იღებს და უზარმაზარი უფლებამოსილებები აქვს. მთავარია, სურვილი არსებობდეს სახელმწიფოს მხრიდან, თორემ არაფერი უნდა ამის გაკონტროლებას.

მთავარია, ტაქტიანად მოიქცნენ და არც ის ხალხი გაამწარონ, ვინც ამ პროდუქციას ყიდის, მაგრამ ბავშვების სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა.

კარგი იქნება, მათ, ვინც ამ პროდუქციას ყიდის, საიდენტიფიკაციო მოწმობები მოსთხოვონ. მაგალითად, როგორც ამერიკაშია: სიგარეტსა და ალკოჰოლს რომ ყიდულობს ახალგაზრდა, სთხოვენ მოწმობას, 21 წლის არის თუ არა. კეთილი ნება თუ არსებობს, ყველაფრის გაკონტროლება შეიძლება.

– რა ღონისძიებებია საჭირო იმისთვის, რომ არ მოხდეს წინა წლის პიროტექნიკის შენახვა და მისი მომავალ წელს გამოყენება?

– ვინც არ ამოწმებს ვადებს, სასამართლოში ან სხვა სტრუქტურებში პასუხი უნდა მოეთხოვოს. ადამიანის სიცოცხლე და ადამიანის პრიორიტეტი უნდა იყოს უმაღლესი.

ლელა მდივანი

„ხელისუფლების ლევან ვასაძისთვის გადაბარება იგეგმება“

„ივანიშვილი კობახიძის კლანს იმიტომ აძლიერებს, რომ მოიშოროს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აძლიერებს ივანიშვილი კობახიძის კლანს, ვინ ჩაანაცვლებს „ოცნებას“, როდის შეიცვლება მთავრობა, რა შეცდომა დაუშვა გახარიამ, რა გარიგებას სთავაზობდნენ ეკა ბესელიას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

– ყველასთვის ნათელია, რომ ბიძინა ივანიშვილი მხარს „ოცნების“ ე.წ. ახალ გვარდიას უჭერს. რატომ აქცია მან ზურგი ძველ თანამებრძოლებს?

– მას ძველი თანამებრძოლებისთვის ზურგი არ უქცევია და არც ახალ გვარდიას უჭერს მხარს. ის, რომ დღეს ირაკლი კობახიძე და მისი დაჯგუფება პარლამენტს მოასხდნენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ გაიმარჯვეს. ჩემი აზრით, მათი საქმე ძალიან ცუდად არის.

საერთოდ, როცა რაღაც ჯგუფის მოშორება უნდათ, მათ ხელოვნურად აძლიერებენ. გაძლიერებული გუნდი იჯერებს, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, ასეთ დროს შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ეს შეცდომები მათ რეპუტაციას ლახავს და მათი მოშორება შემდეგ უკვე ძალიან იოლია.

დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილს სწორედ ეს გეგმა აქვს. ის კობახიძის გუნდს უბიძგებს, რომ მან რაიმე სერიოზული დააშავოს. ამის მერე მათი მოშორება ძალიან მარტივად მოხდება.

იგივე ხდებოდა რესპუბლიკელებთან დაკავშირებით. აბა გავიხსენოთ, რა ხდებოდა წინა მოწვევის პარლამენტში. მაშინ რესპუბლიკელები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედიოდნენ. ივანიშვილმა ძალიან დიდი ძალაუფლება ჩაუგდო მათ ხელში. რესპუბლიკელები ამბიციური ტიპები იყვნენ. ამ ამბიციებმა და ძალაუფლებამ მათ ბევრი შეცდომა დააშვებინა, რის შემდეგაც ივანიშვილმა ისინი მარტივად ჩამოიშორა.

დაიმახსოვრეთ, ძალიან მალე კობახიძე-მდინარაძე-ზარდიაშვილის გუნდს ჩახსნიან „ოცნების“ მატარებლიდან. ამის შანსი ჰქონდა არჩილ თალაკვაძესაც, მაგრამ ის თავად ამ გუნდს ჩამოეხსნა.

– ბოლო დროს თალაკვაძე მართლა არსად ჩანს. მისი გაუჩინარების მიზეზი რა უნდა იყოს?

– თალაკვაძეს თავისი მიზნები აქვს, ის საკმაოდ ეშმაკია. მას ღიად არ სურს თავისი პოზიციის დაფიქსირება, ის ჩუმად არის, მაგრამ ამ სიჩუმით ახლების ჯგუფს დაუჭირა მხარი.

– ეკა ბესელიას წინააღმდეგ რატომ დაიწყო ასეთი შტურმი?

– ამას ბევრად სერიოზული მიზეზები აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მე ბესელიას გულშემატკივარი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ის ამ ბრძოლაში დამარცხდება. მას საკანონმდებლო ორგანოში ზურგი არ აღმოაჩნდა. მას მხარს სულ რაღაც 4 კაცი უჭერს. ამ 4 კაცით კი ვერაფერს გახდება.

– ვინ უჭერს ბესელიას მხარს?

– დავით ჭიჭინაძე, გედი ფოფხაძე, პოღოსიანი და, თუ არ ვცდები, წიკლაურიც ეხმარება. ბექა ნაცვლიშვილმაც ამათი მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. სხვები ხმას არ იღებენ. ისეთი სახეები აქვთ, თითქოს არაფერი ხდება. გია ვოლსკი საერთოდ ისეთ განცხადებებს აკეთებს, ვერ გაიგებ, რა უნდა – ორივე დაჯგუფებას უჭერს მხარს. თამარ ჩუგოშვილიც მიჩქმალულია, საერთოდ ხმას არ იღებს. ეგ გინდ ყოფილა, გინდ არა.

მათ არ უნდათ იმ ომში ჩართვა, რომელიც პარლამენტში გაჩაღდა. აშკარაა, რომ ივანიშვილი ამ ხალხს ერთმანეთს აჯიჯგნინებს.

ამ მომენტისთვის უპირატესობა კობახიძის ფლანგის მხარესაა, მათ თავიდანვე უნდოდათ ეკა ბესელიას მოშორება და იურიდიული კომიტეტის ხელში ჩაგდება.

– კომიტეტი ისედაც მათი არ იყო?

– არ იყო. ბესელია რაღაც კანონებს უბლოკავდა.

– მაგალითად, რა კანონებს?

– თუნდაც მარიხუანის ლეგალიზაციის შესახებ კანონს. ამ მხრივ ახლა კობახიძის ფრთას კარტბლანში მიეცა. ეტყობა, მან პირობა დადო, რომ მთელ დარტყმას თავის თავზე აიღებს და ამ კანონს გაიტანს. ამის სანაცვლოდ პარლამენტზე სრული კონტროლი მოითხოვა.

– აქამდე ვერ აკონტროლებდა მთელ პარლამენტს?

– ვერა. ბესელია იყო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და მთელ რიგ საკითხებს უბლოკავდა. ახლა ჩაიგდებს ამ კომიტეტს ხელში და გაჯეჯილდებიან. ვიცი, რომ ეს საზოგადოებას აღიზიანებს, მაგრამ მათ სიმშვიდისკენ მოვუწოდებ – ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ შემდეგ კობახიძის გუნდი მთლიანად მოისროლონ.

ძალიან მალე ესენი პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდებიან. კობახიძეს კიდევ რა უჭირს, პარლამენტის სპიკერია და ხალხს ცოტა ხანი მაინც ემახსოვრება, მდინარაძისა და ზარდიაშვილის გვარებიც კი არ ემახსოვრებათ მალე.

ძალიან საინტერესო თამაშს თამაშობს კახა კალაძე. ის საერთოდ გაერიდა გუნდში მიმდინარე პროცესებს.

– გაერიდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის და კობახიძე ერთ გუნდს წარმოადგენენ.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დაპირისპირებაში მათ უჭერს მხარს. კალაძე ელოდება, ვინ გაიმარჯვებს ამ დაპირისპირებაში და მერე დააფიქსირებს თავის პოზიციას.

ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ვერც ერთი ამბოხებული მეოცნებე ვერ ბედავს იმის გაკეთებას, რაც დავით ჭიჭინაძემ გააკეთა. ის ღიად დაუპირისპირდა „ოცნებას“. მასთან დაკავშირებითაც საინტერესო ამბავია, ის რამდენიმე თვის წინ შევიდა პატრიოტთა ალიანსში და ახლა იქიდან გამოსვლას აპირებს.

ლადო სადღობელაშვილი: „გახარიამ პრემიერობის შანსები კიდევ ერთხელ დაკარგა“

– ჩვენთან ინტერვიუში ჭიჭინაძემ თქვა, რომ პატრიოტთა ალიანსში მხოლოდ რამდენიმე თვით იყო შესული.

– არა მგონია, მთლად ეს იყოს მისი წამოსვლის მიზეზი. აქ სხვა რამე ხდება. მან, „ოცნებაზე“ განაწყენებულებთან ერთად, შეიძლება, ახალი ფრაქცია შექმნას.

– ნატო ჩხეიძეც ამათთან იქნება?

– ნატო ჩხეიძე, მგონი, ყველამ გარიყა, მაგრამ უმრავლესობა უფრო შავ დღეშია. მართალია, საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვთ, მაგრამ შეიძლება კანონების გატანაც კი გაუჭირდეთ. ძალიან მალე 76 ხმასაც ვერ მოაგროვებენ.

– ასე მძიმედ არის ვითომ საქმე?

– მძიმედ კი არა, უმძიმესად. აქ ისეთი ბზარია გაჩენილი, რომელიც მთელ „ოცნებას“ დაანგრევს.

რიგმა ექსპერტებმა იწინასწარმეტყველეს, რომ კობახიძის გუნდი ისევე განუდგება ივანიშვილს, როგორც თავის დროზე სააკაშვილი და ჟვანია განუდგნენ შევარდნაძეს. ამბობენ, რომ მთავარ მეოცნებეს რევოლუციასაც კი მოუწყობენ. დამიჯერეთ, ეს არ მოხდება.

– რატომ, კობახიძის გუნდს რევოლუციის მოწყობის თავი არ აქვს თუ არ იკადრებენ ამას?

– აქ სხვა რაღაცაშია საქმეა. შევარდნაძისგან განსხვავებით, ივანიშვილი საქმოსანი კაცია.

– მისი საქმოსნობა რას წყვეტს?

– ძალიან ბევრ რამეს. მან კარგად იცის, რას ნიშნავს ფულის ძალა.

– ამის გარდა, ხალხის დაბოლებაც კარგად გამოსდის.

– ხალხის დაბოლება შევარდნაძემაც კარგად იცოდა.

– იცოდა, მაგრამ ბოლოს ეს უნარი დაკარგა. ივანიშვილი ჯერ კიდევ აბოლებს.

– ვერც ეგ ვეღარ აბოლებს. გაიხსენეთ, როგორ ეხვეწებოდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ძველ გვარდიას, დამეხმარეთო. ჯერ გვერდით დადგომა სთხოვა და ახლა მათ ჭირხნის, რაც ალოგიკურია. ყველაზე დიდი ალოგიკურობა კი ისაა, რომ „ოცნება“ აქამდე არ ჩამოშალა.

პირადად ჩემთვის გაუგებარია, როგორ არ ტოვებს ბესელია „ოცნებას“. ამდენი რაღაც დაუშავეს, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადეს და ეს კიდევ გაიძახის, გუნდში ვრჩებიო.

არ მესმის, როგორ შეიძლება, იმ გუნდში დარჩე, რომელიც მურუსიძეს უვადო მოსამართლედ ირჩევს.

– ბესელია ახსენეთ და გაირკვა, რომ ის თურმე სექტემბერში ვიცესპიკერად გადაჰყავდათ. ეს ახალი ზღაპარია?

– არა, ზღაპარი არ არის. ამ თანამდებობას ბესელია იურიდიული კომიტეტის დატოვების სანაცვლოდ მიიღებდა. როგორც უკვე გითხარით, ბესელია რაღაც კანონებს ბლოკავდა. იურიდიული კომიტეტის გარეშე კანონს ვერ მიიღებ. ამიტომ უნდოდათ ბესელიას მოშორება. აშკარაა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის გატანა უნდათ. ეჭვი მაქვს, რომ კანაფის კულტივაციაზეა საუბარი.

– ბესელია ამის წინააღმდეგია?

– ეტყობა. ბესელიას გარდა, სხვებიც ეწინააღმდეგებიან. ისინი ხვდებიან, რომ კანაფის კულტივაციას თუ დაუჭერენ მხარს, ხალხი მათ საბოლოოდ შეიძულებს. ბესელია ამის წინააღმდეგი რომ არ წასულიყო, ახლა ვიცესპიკერის სავარძელში იჯდებოდა.

„ოცნებაში“ ძალიან ბევრი დეპუტატი ეწინააღმდეგება მურუსიძის უვადო მოსამართლედ დანიშვნას. ამ ადამიანებმა ერთ დღეს შეიძლება პროტესტის ნიშნად პარტია დატოვონ.

– დამტოვებლები აქამდეც დატოვებდნენ.

– მეც მეგონა, რომ აქამდე დატოვებდნენ, მაგრამ ეს დროც დადგება.

– როდის დატოვებენ, როცა საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ირაკლი ალადაშვილი: „ავტომატს მიუშვერენ და ეუბნებიან, მოდი აქ, თორემ გესვრიო“

საოკუპაციო ხაზთან რუსი ოკუპანტების მიერ დაკავებულთა რაოდენობა უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად სახელმწიფოს ამ ეტაპზე ბერკეტი არ გააჩნია, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემიდან გარკვეული გამოსავალი არსებობს.

როგორ იტაცებენ რუსები ჩვენს მოქალაქეებს

რა სტრატეგია უნდა შეიმუშაოს სახელმწიფომ ოკუპაციის დასაძლევად, რა შედეგებამდე მივალთ, თუკი ამ კუთხით ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა და როგორია ამ დროისთვის ვითარება საოკუპაციო ზოლთან?

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი საუბრობს.

ირაკლი ალადაშვილი:

– იცით, როგორი ტაქტიკა აქვთ?! ჩვეულებრივი მოქალაქეს რომ დაინახავენ, მაგალითად, თავიანთ ეზოში, რამდენიმე ათეული მეტრიდან ეძახიან, ავტომატს მიუშვერენ ხოლმე და ეუბნებიან, „მოდი აქ, თორემ გესვრი“. უბრალო მოქალაქე შეშინებულია და, როგორც კი მათ მიუახლოვდება, არღვევს საოკუპაციო ზოლს და ასე იტაცებენ.

– სამხედრო სამსახურში თუ არსებობს პრობლემები, რომლებისთვისაც სტრატეგიის შემუშავებაა საჭირო, თუნდაც უსაფრთხოების კუთხით? ვგულისხმობ, მაგალითად, საოკუპაციო ხაზთან არსებულ მდგომარეობასა და ჩვენს სამხედროებს.

– საოკუპაციო ზოლთან შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების განთავსება შეუძლებელია, რადგან ევროკავშირის წარმომადგენლები ამის წინააღმდეგი არიან გასაგები მიზეზების გამო, მორიგეობას ახორციელებენ მხოლოდ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, ამიტომ ამ შემთხვევაში სამხედროების უსაფრთხოება დაცულია.

– იმ მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც ზოლთან ცხოვრობენ და ხშირად ხდებიან გატაცების მსხვერპლი რუსი სამხედროების მხრიდან, რა ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი?

– ეს დიდი პრობლემაა და შეიძლება ჩაითვალოს, რომ თანამედროვე ლეკიანობაა საქართველოში. ისინი თითქოს გვაიძულებენ, რომ ჩვენ თვითონ ვიყოთ თანახმა, გავავლოთ მესერი ან ღობე და მოტაცებაც აღარ გახდება საჭირო, მაგრამ, სამაგიროდ, ნელ-ნელა ისინი ეცდებიან, „სახელმწიფო“ საზღვარი დააფიქსირონ. აი, ზუსტად ამისკენ გვიბიძგებენ, მაგრამ ამის დაშვება არ შეიძლება.

ხალხის მოტაცებას საოკუპაციო ხაზიდან რუსი მესაზღვრეები აკეთებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მადლობები მიიღონ. იმავეს ცდილობენ ოსი ე.წ მესაზღვრეები, რომლებსაც ყოველთვის გამოსასყიდის მიღება სურთ ხოლმე. ადრე იყო 2000 რუბლი, ახლა მოიმატა.

– როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს და რა შედეგებამდე მივალთ საბოლოოდ?

– სამწუხაროდ, ეს ისევ გაგრძელდება. ეს არის ერთგვარი პროვოკაცია. თუ ქართულმა სახელმწიფომ მიიღო გარკვეული ზომა და ამის გაკეთება მარტივია, ამას ელოდება მოსკოვი, რომ რაღაც საბაბი ჰქონდეს შემდეგ.

– ჩვენი ხელისუფლებისთვის რა მხრივ არის მარტივი?

– მარტივი იმ გაგებით არის, რომ სადაც ქართველ მოსახლეობას იტაცებენ, ჩვენი მხრიდანაც შესაძლებელია მათი დაკავება, ვინც ამას აკეთებს. არ არის ეს დიდი პრობლემა, მაგრამ ესენი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ჩვენგანაც თუ საპასუხო რეაქცია იქნება, მერე ამას პროცესის გართულება მოჰყვეს.

– გამოდის, რომ ჯერჯერობით გამოსავალი არ არის.

– გამოსავალი უნდა გამოიძებნოს, იმიტომ რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

– კონსტიტუციაში გამოჩნდა ახალი ტერმინი „თავდაცვის ძალები“, რამაც შეცვალა ტერმინი „სამხედრო ძალები“. რატომ გახდა კონსტიტუციაში ეს ცვლილება საჭირო, რას გულისხმობს ის და რა დადებითი მხარე აქვს ქვეყნისთვის?

– როდესაც ქართული არმია შეიქმნა, იყო „შეიარაღებული ძალები“, შემდეგ შემოვიდა ტერმინი „სამხედრო ძალები“, სადაც გაერთიანდა არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები თავდაცვის სამინისტროსი, არამედ სხვა პარამილიტარული ძალებიც. შსს-საც ჰყავდა შეიარაღებული ფორმირებები, კიდევ სხვა ძალოვან სტრუქტურებს და ყველა ერთად იყო სამხედრო ძალების ეგიდით გაერთიანებული.

ახლა კი ახალი კონსტიტუციით შემოვიდა „თავდაცვის ძალები“. სანამ შემოვიდოდა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ექსპერტებს გაგვაცნო ეს ცნება, რას ნიშნავს, როგორ შემოდის. დღეს ისე ხდება, რომ ყოფილი გენშტაბის უფროსი ვლადიმერ ჩაჩიბაია თავდაცვის ძალების უფროსად გვევლინება.

– რაიმე დადებითი მხარე აქვს ამას ქვეყნისთვის?

– ამით განსაკუთრებული არაფერი შეიცვლება, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა დახვეწა. ცხოვრება წინ მიდის და საჭიროა, კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებები შევიდეს, თუმცა ამ ტერმინის ცვლილებამ რომ განსაკუთრებულად გააძლიეროს ან შეასუსტოს ქართული არმია, ასე ხმამაღლა თქმა არ შეიძლება. ყველაფერი თავის ჩარჩოებში ექცევა უბრალოდ.

ეს ცვლილება თავისთავად გულისხმობს, რომ ფიცის ტექსტიც უნდა შეიცვალოს. თუ ადრე ფიცის დადების წინ სამხედრო შეიარაღებულ ძალებს, ახსენებდა, ახლა თავდაცვის ძალებს იტყვის.

– სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა შეიძლება როგორც თავდაცვის ძალებში, ისე შსს-ში, სუს-ში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურში. ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა მხოლოდ არმიაში უნდა იყოს შესაძლებელი, დანარჩენებს ყარაულისთვის სჭირდებათ და უფასო მუშახელია მათთვის. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ეს აზრი მე თვითონაც მაქვს გამოთქმული და ვეთანხმები. საერთოდ, მე მგონია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა უნდა მოხდეს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მხრიდან.

თავდაცვის სამინისტრო პირველი 3 თვე ამზადებს „ბისიდის“ (წვრთნისა და აღჭურვის) პროგრამით, ანუ იმ 3 თვეში სავალდებულო მოსამსახურე იმავე სავალდებულო მომზადებას გადის, როგორც კონტრაქტით მომსახურე ახალი მისული, რაც ძალიან კარგია.

ამის შემდეგ უკვე შეიძლება მომზადებული ჯარისკაცების გაგზავნა იმავე შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურში, კიდევ სხვა ძალოვან სტრუქტურებშიც, თუმცა სასჯელაღსრულებაში, მე მიმაჩნია, რომ ჯარისკაცი არ უნდა იდგეს.

თუკი ასე მოხდება, სასჯელაღსრულების დაწესებულებამ კეთილი უნდა ინებოს და კონტრაქტით აიყვანოს ადამიანი, ფული გადაუხადოს და ისე დააყენოს ის. ვფიქრობ, ჯარისკაცი და ციხე შორსაა ერთმანეთისგან და ასე არ უნდა ხდებოდეს.

ლელა მდივანი

პაატა იმნაძე: „გრიპის ვირუსი დასტაბილურდა და კლება დაიწყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნებულია ამ ეტაპზე გრიპის აცრები?

– არ არის დაგვიანებული. აცრა შეიძლება, ყოველთვის ჩატარდეს. აცრა არასოდეს არის გვიან, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ როცა უკვე გრიპი მძლავრობს, მაშინ რომ აიცრები, მინიმუმ ორი კვირა გინდა გინდა, რომ იმუნიტეტი გამომუშავდეს. ამ ორი კვირის განმავლობაში დაცული არ ხარ. მერე არ დააბრალონ იმას, რომ აცრა გავიკეთეთ და ავად გავხდითო.

– როდესაც ასეთი პიკია, ანუ აცრას აზრი არ აქვს?

– არა, მაინც ვურჩევთ ჩვენ, რომ აიცრან, ოღონდ იცოდნენ, რომ ორი კვირა დაცული არ არიან. ამ აცრის ვაქცინაზეც იმდენ საშინელებებს წერენ, მე თვითონ მეშინია, რომ ვკითხულობ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ტყუილია! ვინც აცრას იტარებს, ის ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე.

– ბატონო პაატა, საუბარია იმაზეც, რომ, შესაძლოა, საშობაო არდადეგები კიდევ ერთი კვირით გახანგრძლივდეს. აძლევთ განათლების სამინისტროს ამის რეკომენდაციას? შეიქმნება ამის საჭიროება?

– სიტუაციას შევხედავთ და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. ამ ღონისძიებას კარანტინი არ ჰქვია, სოციალური დისტანცირება ჰქვია. კარანტინი ჰქვია, როცა ჩაკეტავ კარს და გარეთ არ გამოუშვებ, რომ არ შეუშვებ სადმე, იმას ჰქვია სოციალური დისტანცირება. მსგავს ღონისძიებებს კი იღებენ ხოლმე, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები, გრიპის დროს მსგავსი ღონისძიებებით არ სარგებლობენ ხოლმე. პოსტსაბჭოთა მენტალიტეტში კი არის ეს.

– ანუ არ იძლევით რეკომენდაციას არდადეგების გახანგრძლივების თაობაზე?

– სიტუაციაზე გვაქვს მუდმივი კონტროლი და, როგორც საჭიროება მოითხოვს, ისე მოვიქცევით. თქვენ რა გგონიათ, სკოლებში თუ არ იქნება მეცადინეობა, ვირუსი არ გავრცელდება? ეს ბავშვები კოლბაში ხომ არ არიან? ისევ ხომ ხვდებიან ერთმანეთს, გარეთ ხომ გადიან? გრიპი ამით არ ჩერდება. უბრალოდ, ან ყველა ერთად გახდება ავად, ან ნელ-ნელა გახდებიან. განსხვავება მხოლოდ ეგ არის. ვისაც დაემართება გრიპი, სამწუხაროდ, ყველგან დაემართება. სხვათა შორის, გრიპის ბოლო ტალღა, ახლა რომელიც წამოვიდა, ოჯახური კერები იყო. ერთი ხდებოდა ოჯახში ავად და მერე დანარჩენი წევრებიც ხდებოდნენ. მათ შორის იგივე იყო ჩემი შვილის ოჯახშიც. ჩემი შვილი, სიძე და შვილიშვილი – ყველა გახდა ავად.

– აღნიშნეთ, რომ ტენდენცია კლებისკენ მიდის. კიდევ ერთ აფეთქებას როდის ელოდებით?

– ახლა კლება დაიწყო და ჩვეულებრივ მატებას ველოდებით ხოლმე თებერვლის მეორე ნახევარში, თუმცა ასეთი ძლიერი ტალღა აღარ იქნება.

– რა ხდება სხვა ქვეყნებში?

– სულ ვაკვირდები რუკას. ჩვენთან არის საშუალო ინტენსივობა, ისევე, როგორც თურქეთში, ჰოლანდიასა და უკრაინაშია. სხვა ქვეყნებში ჯერ დაბალია. სხვაგან არის მატების ტენდენცია, ხოლო ჩვენთან, უკრაინასა და თურქეთში, კლებისკენ წავიდა. რაც შეეხება რუსეთს, მთლიანად იქ ჯერ არ არის მაღალი ტალღა, არის რამდენიმე ოლქი, სადაც ეპიდემიურ ზღვარს უკვე გადააჭარბა.

რეგიონში აშშ-რუსეთის დაპირისპირება მწვავდება

სირიაში, შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა დარჩეს

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება სირიიდან და ავღანეთიდან ამერიკული კონტინგენტის გამოყვანის შესახებ ისევ მსჯელობის საგნად რჩება. ახლო აღმოსავლეთი რომ ვაშინგტონისათვის მნიშვნელოვანია, ამას მოწმობს სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს ვიზიტი რეგიონის სახელმწიფოებში 8-დან 15 იანვრამდე.

დასავლეთში ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკული ჯარის ნაწილების გაყვანა ავღანეთიდან და სირიიდან შეასუსტებს ვაშინგტონის გავლენას მთლიანად რეგიონში და ააღორძინებს მიძინებულ ისლამურ სახელმწიფოს.

გავრცელებული ინფორმაციით, სირიაში, ეტ-ტანფის უსაფრთხოების ზონაში, არ არის გამორიცხული ამერიკული ბაზის შენარჩუნება.

ამ თემას დონალდ ტრამპი ისევ უბრუნდება და პარტნიორებს გამორჩენაში ადანაშაულებს. მისი თქმით, მოკავშირეები სარგებლობენ ამერიკული დახმარებით. ისინი ტერორისტებთან საბრძოლველად გამოყოფენ მცირე რაოდენობის ჯარისკაცებს, რომლებსაც აშშ მილიონებს ახარჯავს.

– სირია დიდი ხანია, დაკარგულია. დიდ სიმდიდრეზე არ ვსაუბრობთ. ჩვენ ვლაპარაკობთ ქვიშასა და სიკვდილზე, – ამბობს ტრამპი.

იგი ეხება ისლამური სახელმწიფოსგან მომავალ ახალ რისკებს. ტრამპის პროგნოზით, ჯიჰადისტები შეიძლება ირანსა და რუსეთშიც ჩავიდნენ.

ბოლომდე დაუმარცხებელი ისლამისტების გაძლიერებას ვარაუდობენ როგორც სირიაში, ისე ავღანეთში.

ამ ტერორისტების ძალადობრივი მეთოდები იცვლება, ტერიტორიული პრეტენზიები კი ჯერჯერობით ურყევია. მათ მიერ ჩაფიქრებულ დიდ სახალიფოში კავკასიაც შედის. ტერაქტებს ისინი აწყობენ ყველგან, სადაც საჭიროდ ჩათვლიან.

ექსპერტების შეფასებით, დონალდ ტრამპის მთავარი მიზანი რეგიონში ირანის დაყოლიებაა. ამას ის შეეცდება ღია და ფარული მოლაპარაკებებით. თეთრი სახლის მეთაურის ამოცანაა, ხელი მოაწერინოს თეირანს ახალ ბირთვულ შეთანხმებაზე.

ძველი შეთანხმებიდან აშშ გამოვიდა. ამას მოჰყვა სანქციების დაწესება ირანის მიმართ. ევროპული სახელმწიფოები ამ პროცესს არ შეერთებიან.

ევროპელი ლიდერებისთვის მიუღებელია ასევე გადაწყვეტილება ამერიკული ჯარის სირიიდან გამოყვანის თაობაზე.

თუ ვაშინგტონი სირიიდან კონტინგენტს სრულად გამოიყვანს, იქ წესრიგის დამყარებას თურქეთი ეცდება, რომელიც, ექსპერტების აზრით, ამერიკის საპირწონე ვერ იქნება.

არაოფიციალური მონაცემებით, წელს აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს მეზობელ თურქეთს ესტუმრება.

კრემლის ხრიკებისა და აგრესიის მიუხედავად, გამოიკვეთა რუსეთის როლის დამცრობა სამხრეთ კავკასიაში.

სომხეთის ხავერდოვანმა რევოლუციამ მოახდინა ძვრები, რომლებმაც კრემლს საფიქრალი გაუჩინა.

რუსეთი სომხეთს თავისებურად უსწორებს ანგარიშს, მაგალითად, გაზს უძვირებს. თუ ადრე ერევანი რუსულ გაზს ათას კუბურ მეტრზე 150 დოლარად ყიდულობდა, 1 იანვრიდან ეს ტარიფი 165 დოლარი გახდა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ აშშ საქართველოსაც მოუბრუნდება. კულუარული ინფორმაციით, ირანთან პრობლემების მოგვარების შემდეგ იგეგმება დარტყმები რუსული ფარული გავლენის წინააღმდეგ საქართველოში, რასაც მოჰყვება პოლიტიკური ველის გადახალისება.

„ივანიშვილმა უკვე დაიწყო კანაფის წარმოება“

ზვიად კუპრავა: „ყვარელთან მივაგენით 4 ჰექტარზე გაშენებულ კანაფის პლანტაციას“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე კვირის წინ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებდა.

ამ სკანდალური ინფორმაციის გავრცელება კუპრავამ ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის შემდეგ გადაწყვიტა. ამ სხდომას ივანიშვილიც ესწრებოდა და, როგორც მეოცნებეებმა თავად უამბეს ჟურნალისტებს, ლიდერმა მათ თავს რისხვა დაატეხა იმის გამო, რომ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტი ვერ დაიცვეს.

ხალხისა და ეკლესიის პროტესტის გამო „ოცნებას“ ამ კანონის პარლამენტიდან გაწვევა მოუხდა.

„ოცნების“ წევრები არაოფიციალურ საუბრებში აცხადებენ, რომ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში კიდევ ერთხელ შევა. ამაში ეჭვი არც ზვიად კუპრავას ეპარება. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ივანიშვილისთვის ამ კანონის მიღება, უბრალოდ, აუცილებელია, რადგან მას უკვე გაშენებული აქვს კანაფის პლანტაციები.

რა აღმოაჩინა ყვარლის სიახლოვეს, რატომ ამტკიცებს, რომ კანაფის პლანტაცია ივანიშვილს ეკუთვნის, რა უნდა გააკეთონ ხალხმა, პოლიტიკოსებმა და საპატრიარქომ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზვიად კუპრავა ესაუბრება.

ზვიად კუპრავა:

– 3 იანვარს გამართულ ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ წამოსწია კანაფის კულტივაციის თემა. ის ყველანაირად ცდილობს ამ კანონის გატანას, რომ მერე კანაფის წარმოებით დიდი შემოსავალი მიიღოს. მართალია, კანონი მიღებული ჯერ არ არის, მაგრამ ივანიშვილმა უკვე დაიწყო კანაფის წარმოება.

გასული წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინა ღამეს, მე და ჩემმა მეგობრებმა: მიშა ბასიაშვილმა, ჯიმი დელიბაშვილმა. ლაშა ცუცქირიძემ და ნინია ცისკარიშვილმა კახეთში კანაფის პლანტაციას მივაგენით.

ვიდეო და ფოტოები, რომლებიც სოციალურ ქსელში გავავრცელე, დრონით დეკემბრის დასაწყისში გადავიღეთ. მანამდე ეს ვერ შევძელით.

კანაფი 4 ჰექტარზეა გაშენებული. აღნიშნული ტერიტორია შემოღობილია 2– მეტრიანი თუნუქის ღობითა და მავთულხლართებით. ეზოს შესასვლელთან დაახლოებით 20 მეტრში, მარჯვნივ, დგას 2 სართულის სიმაღლის შენობა-ნაგებობა, რომელიც გამოიყენება საწყობად. ეზოში ასევე იდგა რამდენიმე ტრაქტორი და მიწის დასამუშავებელი ტექნიკა.

იმისთვის, რომ ეჭვი არ გაჩნდეს, 2-მეტრიანი ღობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე დარგულია ვაზის რამდენიმე პლანი. კახეთში, ვენახში რიგებს ასე ეძახიან. საჩვენებლად დარგულმა ვაზმა უნდა გააჩინოს განცდა, რომ მთელ ტერიტორიაზე ვენახია გაშენებული.

თავიდან ჩვენც ასეთი განცდა გვქონდა, მაგრამ, როცა სიღრმეში შევედით, კანაფის აბიბინებული პლანტაცია ვიხილეთ.

– ასე მარტივად შეხვედით კანაფის პლანტაციაში? არავინ იცავდა იქაურობას?

– როგორ არ იცავდნენ. როცა მავთულხლართებითა და თუნუქის ღობით შემოფარგლულ ტერიტორიაზე შევედით, იქ რამდენიმე პირი დაგვხვდა. ისინი კანაფის პლანტაციისკენ მისასვლელ ბეტონის გზას ასხამდნენ.

მათ მაშინვე შეამჩნიეს ჩვენი გამოჩენა. ერთ-ერთმა მათგანმა დაურეკა ვიღაც პირს და აცნობა, რომ ტერიტორიაზე დაუპატიჟებელი სტუმრები იმყოფებოდნენ. ამ სატელეფონო ზარიდან მალევე პლანტაციაში რამდენიმე პირი მოვიდა.

– საჩხუბრად მოვიდნენ?

– არანაირი კონფლიქტი არ მოგვსვლია. ამ პირებთან იოლად შევედით კომუნიკაციაში. ისინი არ იყვნენ აგრესიულები, მაგრამ, აშკარად ეტყობოდათ, რომ დაბოლილები იყვნენ.

ვისაუბრეთ და საუბრისას მათ არ უარუყვიათ, რომ ტერიტორიაზე კანაფის ერთ-ერთი ჯიში, ჰიბისკუს კანაბინუსი, იგივე კანაფი იყო დათესილი, რომელიც მხოლოდ სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნებისთვის უნდა გამოიყენონ. ასევე მათ განმარტეს, რომ კანაბინუსი ყველა წესის დაცვით ჰქონდათ დათესილი და სოფლის მეურნეობის მინისტრთანაც ჰქონდათ შეთანხმებული.

ეს არის ის რეალობა, რომლის წინაშეც ივანიშვილმა დააყენა ქვეყანა. ამას მთელი საქართველო უნდა აღუდგეს წინ. მე და ჩემმა მეგობრებმა რაც შევძელით, გავაკეთეთ და ვამხილეთ. ამ საშინელებას ჩვენ ვერ შევაჩერებთ. ამისთვის ეკლესია, არასამთავრობოები, საზოგადოება და პოლიტიკოსები უნდა გაერთიანდეთ.

მოვუწოდებ ყველას, ვისთვისაც მიუღებელია საქართველოს კანაფის პლანტაციებად ქცევა, 8 იანვარს შევიკრიბოთ ყვარელში, ერთად გავემგზავროთ იმ ადგილას და იქ გავმართოთ აქცია.

– ყვარელ შია კანაფის პლანტაცია?

– უშუალოდ ყვარელში არა. 14 საათზე თუ შევიკრიბებით, 15 საათზე უკვე კანაფის ყანაში ვიქნებით. ფიზიკური ბრძოლაც რომ დაგვჭირდეს, ეს საშინელება უნდა შევაჩეროთ.

აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, არის თუ არა მიღებული კანონი კანაფის კულტივაციის შესახებ. ჩვენ სახეზე გვაქვს მთელი ინდუსტრია.

– რადგან კანონი არ არის მიღებული, კანაფის მოყვანა თუნდაც სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნებით ხომ დანაშაულია?

– კანონით ახლა აკრძალულია, მაგრამ ეს წარმოება აუცილებლად მოექცევა კანონის ჩარჩოებში. ხალხისა და ეკლესიის პროტესტი რომ არ ყოფილიყო, ამ კანონს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე მიიღებდა. არჩევნების წინ საზოგადოების გაღიზიანებას მოერიდნენ და პროექტი უკან გაიწვიეს. საგაზაფხულო სესიაზე ეს კანონი აუცილებლად დაბრუნდება საკანონმდებლო ორგანოში.

„ვისაც ერის გადაშენება არ უნდა, 8 იანვარს აქციაზე ვეპატიჟებით“

„ასეთი პლანტაციები საქართველოს სხვა რეგიონებშიც არის“

– ამ კანონის მიღებას საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილიც ეწინააღმდეგება. ოპოზიციაც წინააღმდეგია. მოაგროვებენ ხმების საჭირო რაოდენობას?

– ივანიშვილს ეს არ გაუჭირდება. მას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს და 76 დეპუტატის მოძებნა არ გაუჭირდება. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს კანონი მიიღონ. კანაფი კანონის გარეშეც მშვენივრად მოჰყავს და ამას ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიც მოწმობს, მაგრამ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა ამის მოქცევა.

– თქვენ ამბობთ, რომ ის პლანტაცია თუ ყანა, რომელიც ყვარელთან ახლოს აღმოაჩინეთ, ივანიშვილისაა. ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

– ტერიტორია, სადაც კანაფია გაშენებული, ოფიციალურად ერთ-ერთ იაპონურ კომპანიას ეკუთვნის. 3 და 4 ძირი კანაფი რომ ყოფილიყო ამ ტერიტორიაზე დათესილი, ეჭვი არ გამიჩნდებოდა – ერთი-ორი ძირი კანაფი სოფლებში ბევრგან არის დათესილი. 4 ჰექტარზე კანაფის გაშენება, უბრალოდ, შეუძლებელია, თუ ამაში ხელისუფლება არ არის ჩარეული.

პირებმა, რომლებიც პლანტაციაში ვნახეთ, აღნიშნეს, რომ ხელისუფლებასთან ყველაფერი დალაგებული აქვთ და მინისტრიც საქმის კურსშია. ივანიშვილის ნებართვის გარეშე კანაფის ამხელა პლანტაციას ვერავინ გააშენებდა.

ოდნავ გადავუხვევ თემას და იმ მცენარეზე მოგახსენებთ, რომელიც პლანტაციაში აღმოვაჩინეთ. ეს არის ჰიბისკუს კანაბინუსი. ამასთან დაკავშირებით ბევრი ინფორმაცია მოვიძიე და ბიოლოგებსაც ვესაუბრე. როგორც მათ მითხრეს, ეს არის კანაფის ერთ-ერთი ჯიში, იოლად ხდება მისი გადამყნობა და მისგან შეგიძლია, კანაფის ნებისმიერი ჯიში მიიღო.

– გამოდის, რომ ეს ჰიბისკუს კანაბინუსი საჯიშე კანაფი ყოფილა.

– ასე გამოდის. მისგან კანაფის ნებისმიერი ჯიშის, მათ შორის მარიხუანის, იმავე პლანის მიღება შეიძლება. ეს მცენარე დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლისაა და რაზეც დაამყნობ, 15-20 დღეში უკვე იღებ იმ პროდუქტს.

ძალიან საინტერესო მიგნება აქვს ბიძინას – კანაფის ერთი ჯიშით შეუძლია, რამდენიმე სახეობის კანაფი მოგამო თუ დამაპატიმრეს. ბრალად სხვისი პლანის მოწევას წამიყენებენ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ფაქტი საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს და ჩვენ ერთად შევაჩერებთ ამ საშინელებას.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, საპატრიარქოს, არასამთავრობოებსა და პოლიტიკოსებს – შევაჩეროთ ერის განადგურება.

– კანაფის ყანა მარტო ყვარლის რაიონშია თუ საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეგვიძლია მათი პლანტაციის სახით ხილვა?

– რაღაც ინფორმაციები მაქვს და ახლა მათი გადამოწმების პროცესში ვარ. როგორც კი რაიმეს დავაზუსტებ, ამას მაშინვე მივაწვდი საზოგადოებას.

რაღაცების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, მაქვს ინფორმაცია, რომ მსგავსი პლანტაცია სამეგრელოშიც არის. ახლა ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ამ პერიოდში კანაფის პლანტაციების მიგნება საკმაოდ რთულია, მაგრამ მაინც მივაგნებ.

– ახლა რატომ არის მისი მიგნება რთული?

– იმიტომ, რომ მოსავალი აღებული იქნება, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მაინც მივაგნებ.

– სასულიერო პირები შეუერთდებიან თქვენს აქციას? მამა გიორგი ზვიადაძემ საპატრიარქოს სახელით განაცხადა, რომ მათთვის კანაფის კულტივაციის შესახებ კანონის მიღება კატეგორიულად მიუღებელია.

– მივესალმები საპატრიარქოს პოზიციას და ძალიან კარგია, რომ ისინი ასე ფიქრობენ. საპატრიარქოში არიან მღვდელმთავრები, რომელთა პოზიციებსაც არ ვიზიარებ, მაგრამ ნებისმიერი მათგანი, ვინც კანაფის ლეგალიზაციის წინააღმდეგ წავა, იქნება ჩემი მეგობარი ამ საქმეში.

– მათ შორის მეუფე იაკობიც? ხშირად აკრიტიკებთ ხოლმე მას.

– ნებისმიერ მღვდელმთავარს ჩავთვლი ჩემს მეგობრად, რომელიც ამ საშინელებას აღუდგება წინ. ისინი მე კი არ დამიდგებიან გვერდით, არამედ – მთელ ქვეყანას. ამ საშინელების წინააღმდეგ მთელი ქვეყანა უნდა დაირაზმოს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, რომ ვისაც არ სურს ქართველი ერის გადაშენება, ხვალ, 8 იანვარს, შევიკრიბოთ ყვარელში და პროტესტის გამოსახატად ერთად წავიდეთ კანაფის პლანტაციაში.

– ქართული მარში თუ შემოგიერთდათ, მათაც მიიღებთ? მარშის ლიდერი, სანდრო ბრეგაძე, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ კანონის მიღებას.

– ნებისმიერ ადამიანთან ერთად ვიბრძოლებ ამ საშინელების წინააღმდეგ. ეს არის თემა, რომელმაც ერი უნდა გააერთიანოს.

ვინმეს თუ ჩემი კომპლექსი ექნება და ჩემ გვერდით დგომას არ მოინდომებს, გვერდზე გავიწევი. გასულ წელს პარლამენტის წინ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობასთან დაკავშირებით აქციები მიმდინარეობდა. მაშინ ბევრმა თქვა, მისვლა გვინდოდა, მაგრამ კუპრავას გამო არ მივედითო.

ახლაც თუ ვინმე კუპრავას გამო უარს იტყვის ყვარელში წამოსვლაზე, მათ გასაგონად ვამბობ – მე გვერდზე გავიწევი, მხოლოდ პლანტაციამდე მიგიყვანთ და პროტესტი ჩემ გარეშე გამოხატეთ.

„ხელისუფლების ლევან ვასაძისთვის გადაბარება იგეგმება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბა?

– ჩემი აზრით, ეს ბევრად ადრე მოხდება. ისეთი ბზარია გაჩენილი, „ოცნება“ თავზე დაემხობათ. ამას მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებებიც ვერ უშველის.

– იქნება ეს ცვლილებები?

– ცვლილებები გარდაუვალია. აუცილებლად შეიცვლება პრემიერი.

– ვინ დაიკავებს ამ პოსტს? აქამდე გახარიაზე საუბრობდნენ, მაგრამ ბოლოს მას არავინ ახსენებს.

– გახარიას კანდიდატურა აქტიურად განიხილებოდა, მაგრამ მან სერიოზული შეცდომა დაუშვა და ჩაიჩოჩა.

– რა შეცდომა?

– ინაუგურაციის დღეს დაუშვა შეცდომები და პარლამენტში გამოსვლისას ვერ მოზომა სათქმელი. მას არ აპატიეს ის, რომ ნიკა მელია არ დაიჭირა.

– მელია დეპუტატია და როგორ უნდა დაეჭირა?

– შეეძლო, მიემართა პარლამენტისთვის და მოეთხოვა მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა. ის მხოლოდ კირკიტაძის დაჭერას დასჯერდა და ახლა მოუწევს შს მინისტრად დარჩენა. ისე, მშვენიერი მინისტრი იყო, ხალხის სიმპათიაც მოიპოვა, მაგრამ მერე ყველაფერი გააფუჭა.

ჩემი აზრით, პრემიერის პოსტს ბიძინა ივანიშვილი ჩაიბარებს. მის გარდა, ამ სიტუაციას ვერავინ დააწყნარებს. დაწყნარება ახლაც შეუძლია, მაგრამ „ოცნების“ წევრებს ერთმანეთს აჭმევინებს. მას აქვს ასეთი მიზანი – „ოცნება“ უნდა დასუსტდეს.

– რატომ აკეთებს ამას?

– საქართველოში არც ერთი პარტია ორზე მეტი ვადით არ ყოფილა ხელისუფლებაში. „ოცნება“ მეორე ვადას ასრულებს. მას მესამედ მოსვლის შანსი არ აქვს. ივანიშვილს გავლენების შენარჩუნება უნდა, აჭმევინებს ამ გუნდის წევრებს ერთმანეთს და, ვინც გაიმარჯვებს, იმათ წაახალისებს.

ამის გარდა, შექმნის სატელიტ პარტიებს. ერთ-ერთ მათგანს დაეყრდნობა. ამბობენ, რომ მესამე ძალას გია ხუხაშვილი და ალეკო ელისაშვილი შექმნიან. მესამე ძალად ლევან ვასაძე მოგვევლინება. ეს ივანიშვილის ხელდასხმით მოხდება.

– ივანიშვილი ხომ მესამე ძალის წინააღმდეგი იყო?

– ეგ ადრე, ახლა მესამე ძალა სჭირდება.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ ძალაუფლება გადააბაროს.

– ვასაძე შექმნის მესამე ძალასო და მას გადააბარებს.

– უკვე მიმდინარეობს ვასაძისთვის ხელისუფლების გადაბარება.

– ვასაძეს უნდა, რომ გადაიბაროს?

– რატომაც არ უნდა. მან რამდენჯერმე მიანიშნა, რომ პოლიტიკაში აპირებს მოსვლას. ვასაძის პარტიის გარდა, პარლამენტში ივანიშვილი „ოცნების“ იმ ფრთასაც შეიყვანს, რომელიც ამ ომში გადარჩება.

„ექიმი ნუკრი ბერიშვილი პაციენტმა ნარკოტიკის გამო ცემა, პაციენტი კი სახლში გაუშვეს“

თამარ ნიშნიანიძე: „რა უფლებით აბრალებენ ჩემს შვილს, რომ ნარკოტიკები მოითხოვა?!“

გასული კვირის ბოლოს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკაში ინციდენტი მოხდა – პაციენტმა ექიმი ცემა.

ამის შესახებ კლინიკის თანამშრომელმა ნინო პოპიაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„მოკლედ, ძალიან გაბრაზებული ვარ და კიდევ – შეურაცხყოფილი, იმიტომ, რომ დღეს ჩემი კოლეგა ნუკრი ბერიშვილი გახდა თავდასხმის მსხვერპლი პაციენტის მხრიდან. ექიმმა მიიღო ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. მას დასჭირდა ქირურგიული ჩარევა, აქვს ტვინის შერყევა.

ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტმა თავის ტკივილის გამო მოითხოვა ნარკოტიკი. ეს კიდევ ერთხელ იმის დასტური, როგორი დაუცველები ვართ ექიმები.. ველოდებით გამოძიების დასრულებას. იმედი გვაქვს, დამნაშავე სათანადოთ დაისჯება.

მე მას არ ვიცნობ, არ ვიცი გვარი, სახელი, თუმცა ვიცი, რომ სახლში გაუშვეს.“

სხვა ინფორმაცია აქვს პაციენტის დედას.

თამარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ მის შვილს კლინიკის ექიმებმა სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს, რამაც თავის ტკივილითა და ვირუსით შეწუხებული ახალგაზრდა მამაკაცი მდგომარეობიდან გამოიყვანა.

– ვინმე ნინო პოპიაშვილმა, რომელიც მუშაობს მიხაილოვის საავადმყოფოში, დაწერა პოსტი, რომ ვიღაც ნარკომანმა მოითხოვა ნარკოტიკი, ექიმმა არ მისცა და ცემა ექიმი, აი, ეს დააბრალა.

სინამდვილეში იყო ის, რომ ცუდად იყო ჩემი შვილი, ახლაც საავადმყოფოში ვართ. ფილტვების ანთება აქვს და ვირუსული ინფექცია აქვს. ექიმი ძალიან ცუდად დაელაპარაკა. თავის ტკივილით ჭკუიდან გადასულ ადამიანს ისე როგორ უნდა დაელაპარაკო ექიმი, რომ დაწოლილმა ხელი დაგარტყას, რა უფლებით აბრალებს ვიღაცა, რომ ის იყო ნარკომანი და ამის გამო ექიმი სცემა, რა უფლებით? – ამბობს თამარ ნიშნიანიძე.

ინციდენტის ერთ-ერთი თვითმხილველია მომღერალი თიკა ჯამბურია, რომელიც ამბობს, რომ ახალგაზრდა მამაკაცს მწვავე ჰაიმორიტი ჰქონდა და რამდენიმე საათის განმავლობაში საავადმყოფოში ისე იწვა, რომ მისთვის წამალი არ მიუციათ.

– ეს ბიჭი იწვა ღორის გრიპით, როგორც ვიცი, გამოუშვეს მკურნალობის გარეშე. იქ რაც მოხდა, ის ბიჭი არ იყო დამნაშავე, რაც მე დავინახე. რომელ ნარკოტიკულ ნივთიერებას, გამაყუჩებელს ითხოვდა, იმიტომ, რომ ჰქონდა ჰაიმორიტი, მწვავე თავის ტკივილი და ათი საათიდან ორ საათამდე ისე იწვა, რომ წამალი არ მიუციათ, – ამბობს თიკა ჯამბურია.

პეკინზე 2 მამაკაცი დაჭრეს, ერთის მდგომარეობა მძიმეა

5 იანვარს საბურთალოზე სისხლიანი გარჩევა მოხდა, რომლის დროსაც 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაიჭრა.

შემთხვევის შესახებ საუბარი უჭირთ ადგილობრივებს, რადგან არ იციან, ზუსტად რა მოხდა. მათი თქმით, მომხდარის შესახებ სამართალდამცავების მისვლის შემდეგ შეიტყვეს, ჩხუბის ხმა კი მათ არ გაუგიათ.

კურიერის ინფორმაციით, დაპირისპირებას წინ უძღოდა ახალგაზრდებს შორის ჩხუბი, რომელიც ფიზიკური ანგარიშსწორებით დასრულდა.

დაპირისპირება, სავარაუდოდ, საბურთალოს ქუჩაზე დაიწყო, სადაც ორი ახალგაზრდაა დაჭრეს. ერთ-ერთ ახალგაზრდას ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული.

დაჭრილები პეკინის ქუჩაზე შევიდნენ და დახმარება ითხოვეს, სავარაუდო დამნაშავეებმა კი საბურთალოს ქუჩის დატოვება შეძლეს.

როგორც რუსთავი 2-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

დროს დაშავებული ერთ-ერთი მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ექიმის თქმით, მას ჭრილობა გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

ასევე, მრავლობითი ჭრილობებით არის მოთავსებული საავადმყოფოში მეორე მამაკაციც.

ლევან სუხიშვილი

– ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა არის ძალიან მძიმე. მას აქვს კისრის და გულ-მკერდის ჭრილობა, მაგისტრალური სისხლძარღვების და გულ-მკერდის ორგანოების დაზიანებით. ჩაუტარდა ოპერაცია, მდგომარეობა არის მძიმე და ამჟამად მასთან ინტენსიური თერაპიის რეანიმაციული სამუშაოები მიმდინარეობს. იმყოფება მართვით სუნთქვაზე. მეორე პაციენტს ასევე მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული, – განაცხადა ექიმმა ლევან სუხიშვილმა.

31 წლის გიორგი უბილავა ზუგდიდის სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს

ზუგდიდში ერთ-ერთ სასტუმროში 31 წლის გიორგი უბილავა გარდაცვლილი იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გარდაცვლილი აფხაზეთიდან დევნილია, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ნათესავებთან გალში იმყოფებოდა და ღამე ზუგდიდის სასტუმროში დარჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ბათუმში სახურავის ჩამოვარდნის დროს დაშავებული სოსო შერვაშიძე გარდაიცვალა

ბათუმში ძლიერი ქარის დროს დაშავებული, ბათუმის მერიის 53 წლის თანამშრომელი, სოსო შერვაშიძე გარდაიცვალა.

ის 4 იანვარს, ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ქარის შედეგად ჩამოვარდნილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის ქვეშ მოყვა.

სოსო შერვაშიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. ის კლინიკა „მედცენტრში“ მიიყვანეს. მას თავისა და გულ-მკერდის არეში მძიმე ტრავმები აღენიშნებოდა.

ბათუმის მერი ლაშა კომახიძე საკუთარ ფეისბუქგვერდზე წერს:

„სოსო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. მან იმ დღეს სხვა ადამიანების სიცოცხლეზე ზრუნვისას საკუთარი სიცოცხლე გაწირა. ვუსამძიმრებ კიდევ ერთხელ და თანადგომას ვუცხადებ მის ოჯახსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც სოსოს იცნობდა“.

სოსო შერვაშიძე შემთხვევის ადგილზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მივიდა.

ცხრასართულიანი კორპუსიდან აგლეჯილი სახურავის ნაწილი მეორედ მაშინ ჩამოვარდა, როცა მაშველები გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარს ადრე ჩამოვარდნილი სახურავის ნარჩენებისგან ასუფთავებდნენ. იქვე იმყოფებოდნენ რიგითი მოქალაქეებიც. სწორედ ამ დროს დაშავდა სოსო შერვაშიძე. მეორე დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ის რეფერალურ საავადმყოფოში იმყოფება.

4 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად ჭავჭავაძის ქუჩაზე კორპუსის სახურავი ჩამოვარდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაშავდა.

აბაშაში 2 პოლიციელის დაჭრის გამო ძებნილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის აბაშის რაიონული სამმართველოსა და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმისთვის ძებნილი, 1987 წელს დაბადებული გ.ც. დააკავეს. დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გ.ც.-მ 2018 წლის 6 დეკემბერს, გვიან ღამით, აბაშის რაიონის სოფელ გეზათში, აგრესია გამოხატა აბაშის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლების შალვა მიმინოშვილისა და ბაკურ ჭკადუას მიმართ, რომლებიც იმ ტერიტორიაზე სამსახურებრივ შემოვლას აწარმოებდნენ. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული არ დაემორჩილა პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას დაეცვა წესრიგი და ორივე მათგანს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაშავებული პოლიციელები სტაციონარში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი დახმარება გაეწიათ. გ.ც.-ზე კი ძებნა გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, პოლიციელებზე თავდასხმისთვის ძებნილი გ.ც. წალკის რაიონის სოფელ ტბეთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცებად ამოიღო.

სასამართლომ დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 353-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფას გულისხმობს.

მსოფლიო პატრიარქმა უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიას ტომოსი გადასცა

5 იანვარს სტამბოლის წმინდა გიორგის ეკლესიაში საზეიმო წირვა აღევლინა. მას დაესწრნენ უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, პარლამენტის სპიკერი პარუბიი, ექსპრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, თავდაცვის მინისტრი, გენერალი პოლტორაკი და ა.შ.

წირვის დამთავრების შემდეგ მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეუსმა საზეიმო ვითარებაში მოაწერა ხელი ტომოსს (ავტოკეფალიის დამადასტურებელი მოწმობა).

– მოვუწოდებთ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ უკრაინელების ავტოკეფალია აღიაროს, – განაცხადა ბართლომეუსმა.

6 იანვარს ტომოსი უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას საზეიმოდ გადაეცა.

მოსკოვის საპატრიარქომ მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან ტომოსს ფარატინა ქაღალდი უწოდა. მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებმა კი აღნიშნეს, რომ ერთიანი უკრაინული ეკლესიის შექმნას არ ცნობენ. თუმცა ამ ხალხის გავლენა უკრაინაში მკვეთრად დაეცა. მომავალში ეს პროცესი გაგრძელდება.

ჯიმ უები, შესაძლოა, აშშ-ის თავდაცვის მინისტრად დაინიშნოს

გენერალ მატისის გადადგომის შემდეგ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტი ვაკანტურია. მატისის მოადგილე მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს. ტრამპი გულდასმით ეძებს ახალ კანდიდატურას. ამ პოსტზე, შესაძლოა, სენატორი დემოკრატი ჯიმ უები დაინიშნოს.

უები 1946 წელს დაიბადა. სწავლობდა კალიფორნიის უნივერსიტეტში, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების აკადემიაში, სამართლის ბაკალავრის ხარისხი კი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში დაიცვა.

უები მონაწილეობდა ვიეტნამის ომში. ორჯერ იყო დაჭრილი. გამოჩენილი სიმამაცისთვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

უები დემოკრატიული პარტის წევრია. ამან ხელი არ შეუშალა, რეიგანის მთავრობაში მაღალი პოსტები დაეკავებინა. იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე, შემდეგ – საზღვაო საქმეთა მინისტრი. უები სენატორად დემოკრატიული პარტიიდან აირჩეს. თავის დროზე ერაყში შეჭრის წინააღმდეგი იყო. მისმა გამოსვლამ ამ საკითხზე როგორც აშშ-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ დიდი ყურადღება მიიპყრო.

უები იმ ძალას განეკუთვნება, რომელსაც ტრამპის იმპიჩმენტი სურს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკურ პარტიაში მის კანდიდატურას ბევრი უჭერს მხარს.

ტრამპის ადმინისტრაციაში დაადასტურეს, რომ უების კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე მართლაც განიხილება. მეტიც, დღეისათვის ეს უპირველესი კანდიდატია, თუმცა ტრამპს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ამასობაში აშშ-მ სირიიდან ჯარის გაყვანა დაიწყო. ჟურნალისტებს ამის თაობაზე სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განუცხადა.

შეკითხვაზე, თუ რა ვადებში დასრულდება ჯარის გაყვანა, პომპეომ უპასუხა:

– არ ვიცი!

ამავე დროს, სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აშშ კვლავაც უდიდეს ყურადღებას დაუთმობს ახლო აღმოსავლეთის საკითხს და იქ არც ჯიჰადისტების, არც ირანის გაძლიერებას არ დაუშვებს.

რუსეთისა და ირანის სამხედრო-საზღვაო ძალები კასპიის ზღვაში სწავლებას გამართავენ

რუსეთისა და ირანის სამხედრო-საზღვაო ძალები კასპიის ზღვაში სწავლებას გამართავენ. ამის შესახებ ინფორმაციას ირანული მხარე ავრცელებს.

როგორც ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურ ჰოსეინ ხანზადზე დაყრდნობით იუწყება, ადგილობრივი სწავლება ორი ქვეყნის ტაქტიკური და სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება.

ხანზადს წვრთნების ზუსტი თარიღი არ დაუსახელებია, თუმცა, მისი განცხადებით, სწავლება უახლოეს მომავალში გაიმართება.

ავღანეთში ოქროს მაღაროს ჩამონგრევას 30 ადამიანი ემსხვერპლა

ავღანეთის ხელისუფლების ცნობით, ბადახშანის რაიონში ოქროს მაღაროს ჩამონგრევას 30 ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. დაშავებულია 7 ადამიანი. დაღუპულთა შორის რამდენიმე ბავშვიც არის.

ავღანეთი მდიდარია წიაღისეულით, თუმცა ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო ბევრი მაღარო მოძველებულია და იქ წიაღისეულის მოპოვება სახელმწიფოს კონტროლის გარეშე ხორციელდება.

რეგიონის გუბერნატორის განცხადებით, ადგილობრივებმა მდინარის ხეობაში ექსკავატორის მეშვეობით გათხარეს 60 მეტრის სიღრმის მაღარო, რათა ოქროს მოპოვება ეწარმოებინათ. მაღარო ჩამოინგრა და ხალხი ქვეშ მოიყოლა.

ადგილობრივებმა მხოლოდ 13 მაღაროელის გადარჩენა მოახერხეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შეტაკებები ყარაგანდაში

ყაზახეთის ქალაქ ყარაგანდაში შეტაკებები მოხდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რესტორან ძველ რომში ჩხუბი ატყდა. ამ დროს ერთ-ერთი სტუმარი მოკლეს. ის ყაზახი აღმოჩნდა, მკვლელი კი – რუსი.

ამის შემდეგ ხალხი ქუჩაში გამოვიდა.

– რუსებო, გაეთრიეთ ყაზახეთიდან! – სკანდირებდნენ ისინი.

ხელისუფლება იძულებული გახდა, ქალაქში შინაგანი ჯარის ნაწილები შეეყვანა.

წესრიგი აღადგინეს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კალეიდოსკოპი

იბიცაზე მძღოლის სისხლში ყველა ცნობილი ნარკოტიკი აღმოაჩინეს

კუნძულ იბიცაზე პოლიციამ გააჩერა და დააკავა მძღოლი მანქანის სახიფათოდ ტარებისთვის., რაც საფრთხეს უქმნიდა სხვა სატრანსპორტო საშუალებებს. ანალიზმა მის სისხლში გამოავლინა კოკაინის, მეტამფეტამინის, ოპიატის, მარიხუანისა და ამფეტამინის შემცველობა.

31 წლის მძღოლი პირველ იანვარს დააკავეს. ის გზაზე სახიფათოდ გადაადგილდებოდა და საფრთხეს უქმნიდა სხვა მანქანების მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. დაკავების შემდეგ სპეციალისტებმა მას ნარკოტიკებზე ტესტები ჩაუტარეს და ყველა მათგანი დადებითი აღმოჩნდა.

მანქანის ჩხრეკისას კი აღმოაჩინეს 20 ვარდისფერი აბი, 6 იასამნისფერი აბი და ორი შეკვრა კოკაინის მსგავსი ნივთიერებით, ასევე ერთი შეკვრა ყავისფერი ნივთიერებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლექსო წითელიშვილი: „დროა, ქართველ ქომაგს ჩვენი შრომის შედეგი ვაჩვენოთ

ლექსო წითელიშვილს საქართველოს ნაკრებში თამაშის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. ის უკვე 26 წლისაა და შეგვიძლია, ნაკრების საშუალო თაობას მივაკუთვნოთ.

ევრო 2022-ის შესარჩევი ტურნირის წინ ლექსო საკუთარ სახელბურთო კარიერაზე და ეროვნული ნაკრების სამომავლო შანსებსა და პერსპექტივაზე საუბრობს.

ლექსო ამჟამად მაკედონიის ქალაქ სტრუგაში თამაშობს.

– სტრუგა პატარა ქალაქია და გუნდსაც მისი სახელი ჰქვია. შარშან გუნდმა ქვედა ლიგა მოიგო და ახლა დებიუტი გვაქვს ტოპ დივიზიონში.

– რამდენად პატარა ქალაქია სტრუგა, სამტრედიისხელა არის?

– შეიძლება, კიდევ უფრო პატარაც იყოს, მაგრამ ხელბურთი ძალიან უყვართ და საშინაო თამაშებზე დარბაზი ბოლომდე ივსება.

– სხვა სახეობის გუნდები თუ ჰყავთ?

– ფეხბურთისა და ხელბურთის. მაგრამ ხელბურთი ყველაზე პოპულარული სახეობაა.

– სხვა ქალაქებშიც ივსება დარბაზები? ბევრ ქვეყანაში მაყურებელი უფრო დედაქალაქის გუნდებს აკლიათ.

– მაკედონიაში მაყურებლის პრობლემა არ არსებობს. თუ დერბია, ხომ საერთოდ, ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ რჩება.

– მაკედონიის სუპერლიგაში როგორ მიდის თქვენი გუნდის საქმე?

– ამ ეტაპზე, 14 ტურის შემდეგ მე-6 ადგილზე ვართ. ოთხეულში შესასვლელად ვიბრძვით.

– ქალაქიდან ქალაქში ხანგრძლივი მოგზაურობა გიწევთ?

– არის ქალაქები, სადამდეც 3 საათი ვუნდებით ჩასვლას. საერთოდ, მაკედონია პატარა ქვეყანაა. სტუმრად ტურის დღეს მივდივართ ხოლმე. წინა საღამოს ჩასვლა და ღამის სასტუმროში გათენება საჭირო არ არის. თამაშები 6 საათის მერე იწყება. ბილეთებიც იყიდება. მათი ღირებულება, ჩვენს ფულზე რომ გადმოვიყვანოთ, დაახლოებით 5 ლარია.

– მაკედონია როგორი ქვეყანაა, როგორია ცხოვრების დონე?

– მაკედონიელები ცხოვრების დონით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან.

– სტრუგასთან რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ?

– 2-წლიანი.



– გუნდში, თქვენ და გიორგი დიხამინჯიას გარდა, უცხოელი არის ვინმე?

– აქამდე ჩვენ ორნი ვიყავით, ახლა ჩერნოგორიელი ბიჭი დაგვიმატეს. გამთამაშებელია, ასე რომ, ჩემი და დიხას კონკურენტი არ არის. მე ხომ მარცხენა ინსაიდი ვარ, გიორგი მარჯვენა ინსაიდი და ფლანგის მოთამაშეა.

– ჩემპიონატის თამაშები რამდენ ხანში ერთხელ იმართება?

– მეტწილად შაბათობით. კვირაობით გვასვენებენ, დანარჩენ დღეებში კი ორჯერადი ვარჯიში გვიწევს, თუმცა ხანდახან სამჯერაც გვავარჯიშებენ.

– თურქეთისა და მაკედონიის ჩემპიონატებს როგორ შეადარებდით ერთმანეთს?

– თურქეთის ჩემპიონატში წინა წლებში გაცილებით კარგი გუნდები თამაშობდნენ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ბევრი ძლიერი გუნდი დასუსტდა ანდა ძლიერი მოთამაშეები ვერ შეიძინა.

– მაკედონიიდან ალბათ უკეთეს ქვეყანაში გადასვლაც უფრო ადვილია.

– ნამდვილად ასეა, თუმცა ჯერჯერობით ჩემთვის არავის მოუმართავს.

– ევრო 2022-ის მოახლოებულ პირველ შესარჩევ ეტაპზე რას ფიქრობთ?

– ძალიან მაგარი შანსი გვეძლევა. ამ ეტაპზე არც ისე ძლიერი მეტოქეები შეგვხვდნენ (მალტა, კვიპროსი და აზერბაიჯანი) და მათი ბარიერის გადალახვა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. თუ ჯგუფი მოვიგეთ, პლეიოფი გვიწევს უკვე 2020 წლის გაზაფხულზე, იქამდე კი მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია გვაქვს.

ვფიქრობ, ყველა ამ ტურნირზე წარმატებით თამაში შეგვიძლია. საკმაოდ დაბალანსებული გუნდი გვყავს – რამდენიმე ვეტერანი, საშუალო თაობის ხელბურთელები და ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები. დროა, ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ და ჩვენი შრომის შედეგი ვაჩვენოთ.

ქალებმა ბრძოლაში წააგეს, კაცებმა — უშანსოდ

ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიურ არენაზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე ტურის მატჩში საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა დანიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და დაძაბულო ბრძოლაში, 5 სეტში 2:3 დამარცხდა.

ჯგუფში ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ქართველ ფრენბურთელებს ხელს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ, ხოლო უქულო დანია ამ მატჩს ბოლო ადგილზე და სატურნირო მოტივაციის გარეშე ხვდებოდა.

მასპინძლებმა თამაში აშკარად კონცენტრაციის ნაკლებობის ფონზე დაიწყეს და მეტოქეს დაწინაურების შესაძლებლობა მატჩის სტარტიდანვე მისცეს. ქართველი ფრენბურთელები შეცდომებს მარტივ სიტუაციებში უშვებდნენ, ვერც საკუთარი ჩაწოდებას იყენებდნენ და შედეგად, პირველი სეტი 14:25 წააგეს.

მეორე სეტში ქართველებმა ყურადღება მოიკრიბეს და თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესეს. დაცვაში არსებული შეცდომების მინიმალურამდე დაყვანის პარალელურად, ჩვენებმა შეტევაშიც აქტიურ თამაშს მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდებმა 19-19 ქულას ისე უწიეს საქართველოს ნაკრები მდევრის როლში იყო, მერე ჩვენები წინ გაიჭრნენ და სეტი 25:21 მოიგეს.

მესამე სეტში ქართველთა უპირატესობა შესამჩნევი გახდა. მას მერე რაც ანგარიში 1:2 იყო, ჩვენებს მდევრის როლში წუთიც კი არ გაუტარებიათ. მასპინძლებმა ზედიზედ რამდენიმე შედეგიანი დარტყმა განახორციელეს, ჩაწოდებათა კარგი სერია წაუვიდათ, ამას რამდენიმე ეპიზოდში მეტოქის უყურადღებო თამაში და შეცდომებიც თან დაერთო და ქართველებმა სეტი მარტივად, 25:20 მოიგეს.

დანიელები იოლად დანებებას არ აპირებდნენ და მეოთხე სეტში, როცა საქართველოს ნაკრებს ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, მეტოქეს თავდაუზოგავი ბრძოლა გაუმართეს, მათი ყველა შეცდომა გამოიყენეს – 19:25 და საერთო ანგარიში გათანაბრდა.

გადამწყვეტი სეტი დაძაბული გამოდგა. სკანდინავიელები დასაწყისშივე წინ გაიჭრნენ და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. საბოლოოდ, 11:15, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი დაკარგა.

მიმდინარე ციკლში დასკვნით მატჩს საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები მეორეადგილოსან პორტუგალიასთან სტუმრად, 10 იანვარს გამართავს.

ვაჟთა ნაკრები კი ნორვეგიასთან უშანსოდ დამარცხდა – 0:3.

ნორვეგიელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ დიდ უპირატესობას. პირველი სეტი სკანდინავიელებმა 25:10 მოიგეს, მეორე სეტი 25:18 და მესამე სეტშიც ანალოგიური ანგარიშით, 25:18 სძლიეს მეტოქეს. საქართველოს ნაკრებმა მორიგი მარცხი იწვნია, რაც მოსალოდნელი იყო.

სესკ ფაბრეგასი ინგლისურ ფეხბურთს დაემშვიდობა

ინგლისის თასის გათამაშებაში ლონდონის ჩელსიმ ნოტინგემ ფორესტს მოუგო. თამაში უფრო იმით იყო გამორჩეული, რომ სესკ ფაბრეგასმა არისტოკრატების შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარა.

31 წლის ესპანელი ნახევარმცველი კარიერას მონაკოში გააგრძელებს.

ჩელსი-ნოტინგემის მატჩის დასრულებამდე 5 წუთი რჩებოდა, როდესაც ლონდონური გუნდის მწვრთნელმა, მაურიციო სარიმ ფაბრეგასის ნაცვლად მოედანზე ნგოლო კანტე შეუშვა. გასვლამდე სესკმა კაპიტნის სამკლავური დავიდ ლუისს გადაულოცა, გასვლის დროს კი ემოციები ვერ შეიკავა და ცრემლები წამოუვიდა. „სტემფორდ ბრიჯზე“ შეკრებილი გულშემატკივრები ესპანელს ფეხზე წამოუდგნენ და მოედნიდან მქუხარე ოვაციებით გააცილეს.



ფაბრეგასის ჩელსიდან წასვლის საკითხი ოფიციალურად არ დადასტურებულა. მეტიც, ნოტინგემთან მატჩის წინ სარიმ განაცხადა, რომ მას ფაბრეგასის შენარჩუნება სურს, რადგან მისი წასვლის შემთხვევაში, ჟორჟინიო პრაქტიკულად კონკურენტის გარეშე რჩება, მწვრთნელს კი გუნდისთვის სასარგებლო როტაციის საშუალება აღარ მიეცემა. სარიმ დასძინა, რომ თუ სესკი წავა, სხვა ნახევარმცველის მოყვანა იქნება საჭირო და იქვე აღნიშნა, რომ დღეს ბაზარზე ფაბრეგასის მსგავსი ნახევარმცველი არ ახსენდება.

სარის სიტყვების შემდეგ იყო მოლოდინი რომ ბოლო მომენტში ჩელსი უარს იტყოდა ფაბრეგასის გაშვებაზე, მაგრამ ნოტინგემთან მატჩის დროს განვითარებული მოვლენები სხვა რამეზე მეტყველებს და ესპანელი მაინც მიდის ლონდონიდან. მისი ემოციები და გულშემატკივრების ოვაციები სხვა არაფერი იყო, თუ არა დამშვიდობება.

ფაბრეგასი ჩელსიში 2014 წელს გადავიდა. იქამდე, სესკი ბარსელონასა და ლონდონის არსენალში თამაშობდა. როგორც ჩანს, შემდეგი გაჩერება მონაკოა.

ფაბრეგასმა საკუთარ ტვიტერზე თითქოს შეაჯამა ინგლისურ ფეხბურთში გატარებული პერიოდი და შემდეგი სიტყვები დაწერა:

– 500 მატჩი ინგლისურ ფეხბურთში. საუკეთესო და ყველაზე კონკურენტუნარიან ლიგაში მსოფლიოს მასშტაბით. ეს იყო უდიდესი გამოცდილება და ოცნების ასრულება. კიდევ ერთი საამაყო მომენტი ჩემს კარიერაში.

ანანიძე და ვიტესი — პრესა წერს, აგენტი არ ადასტურებს

რუსული მედიის ცნობით, ქართველი ნახევარმცველი ჯანო ანანიძე უახლოეს დღეებში მოსკოვის სპარტაკიდან ჰოლანდიურ ვიტესში გადავა და არნემულ გუნდში სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს.

ანანიძის ტრანსფერით პირადად არის დაინტერესებული გუნდის რუსი მწვრთნელი ლეონიდ სლუცკი.

ჯანოს გადასვლას უკვე მიესალმებიან ვიტესის გულშემატკივრები და თავიანთ საიტზე მის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნეს.

ანანიძის აგენტ თემურ ლეფსაიას განცხადებით, მისი კლიენტის ბედი უახლოეს მომავალში გადაწყდება, თუმცა 26 წლის შემტევის ვიტესში ტრანსფერს ოფიციალურად არ ადასტურებს.

– მოდით, ეს სიტუაცია ზედმეტი კომენტარების გარეშე დავტოვოთ. ვიტესი? ვფიქრობ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ჯერ არაფერია სათქმელი, – განაცხადა ლეფსაიამ.

ანანიძის გადაბირებით კრილია სოვეტოვიც იყო დაინტერესებული, მაგრამ თავად ფეხბურთელს ევროპული კარიერა უფრო ხიბლავს.

ანანიძემ სპარტაკში 11 წლის განმავლობაში იასპარეზა, მაგრამ 2 ოპერაციის გაკეთების გამო უკანასკნელ ხანს სისტემატურად ვერ თამაშობდა და კლუბმა მისი გაშვება გადაწყვიტა.

შედეგები

5 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-რაიო	0:1
ალავესი-ვალენსია	2:1
უესკა-ბეტისი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	17	11	4	2	48-19	37
2.ატლეტიკო	17	9	7	1	25-12	34
3.სევილია	17	9	5	3	30-17	32
4.ალავესი	18	9	4	5	21-18	31
5.რეალი	17	9	3	5	26-21	30
6.ბეტისი	18	7	5	6	21-21	26
7.ხეტაფე	17	6	7	4	18-13	25
8.ესპანიოლი	18	7	3	8	19-24	24
9.ხირონა	18	5	8	5	20-22	23
10.ლევანტე	18	6	5	7	30-34	23
11.ვალენსია	18	4	10	4	16-16	22
12.სელტა	17	5	6	6	28-26	21
13.ეიბარი	17	5	6	6	21-25	21
14.ვალიადოლიდი	18	5	6	7	16-20	21
15.სოსიედადი	17	5	4	8	18-20	19
16.ლეგანესი	18	4	7	7	16-21	19
17.ვილიარეალი	17	3	7	7	19-23	16
18.ბილბაო	17	2	10	5	16-24	16
19.რაიო	18	4	4	10	18-32	16
20.უესკა	18	2	5	11	17-35	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-სარაგოსა	1:2
ესტრემადურა-ალკორკონი	3:0

ჰოხეგაღია. პრიმერა ლიგა

მარიტიმუ-პორტიმორენშე	2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოლე გუნარ სოლსკიაერს მანჩესტერიდან წასვლა აღარ უნდა

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერ იუნაიტედში იდეალური სტარტი აიღო. ნორვეგიელმა 5 მატჩი ჩაატარა და ხუთივე მისი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ნიუკასლთან მოგების შემდეგ სოლსკიაერმა აღიარა, რომ ზაფხულში კლუბის დატოვება არ სურს. თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა ჯერ კიდევ ადრეა.

ოლე გუნარ სოლსკიაერი:

– ჯერ ყველაფერი წინაა. როდესაც მოვედი მათ სრულიად გულწრფელად მომახსენეს მათი გეგმები მომავალი მენეჯერის შესახებ. რაც უფრო დიდ დროს ატარებ მანჩესტერში, მით უფრო გსიამოვნებს ეს ყველაფერი. წარმატებებს ვუსურვებ ახალ მენეჯერს მომავალში, არ აქვს მნიშვნელობა, ეს მე ვიქნები, თუ ვინმე სხვა. ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს და ეს გუნდზე მუშაობაა.

ახლა ჩემი მიზანი დუბაიში ტოტენჰემისთვის მომზადებაა. დანარჩენი ყველაფერი ხელმძღვანელობაზეა, მე არაფერს ვწყვეტ. შესაბამისად, არც ვაპირებ რამეზე ფიქრს, მხოლოდ ჩემს საქმეზე ვკონცენტრირდები.

თუმცა, ოლე გუნარი იმასაც აღიარებს, რომ მატჩი ტოტენჰემის წინააღმდეგ მისი პირველი ნამდვილი გამოცდა იქნება.

სოლსკიაერის პირველად აქვს ერთი კვირა თამაშისთვის მოსამზადებლად. სწორედ ამიტომაც კლუბი დუბაიში წაიყვანა და თბილ ამინდებში გადაწყვიტა მომზადება.

– ტოტენჰემი სტუმრად, უემბლიზე – ესაა პირველი ნამდვილი გამოცდა. ჩვენ მოუთმენლად ველით ამ თამაშს, რადგან ეს ზუსტ ინფორმაციას მომცემს იმის შესახებ, თუ როგორი წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია ტოპ გუნდებისთვის. ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ადგილებით. ერთ ან მაქსიმუმ 2 წელიწადში გუნდი თავის ადგილს უნდა დაუბრუნდეს და ცხრილში ზევით აიწიოს.

კარდიფში ჩასვლა არასდროს არის მარტივი. პირველი თამაში მათთან მოგვიწია. სახლში კი ბორნმუთი და ჰადერსფილდი გვყავდა დასამარცხებელი. არცერთი არ არის მარტივი თამაში. სწორედ ამ მატჩებში ადრე ქულები დაგვიკარგავს. შემდეგ იყო ნიუკასლი გასვლაზე... ვფიქრობ, მანდ უკვე პროფესიონალურად ვითამაშეთ.

რაც შეეხება რედინგს, არც ეს იყო მარტივი თამაში 9 ცვლილებით, თუმცა, მიუხედავად სირთულეებისა, ხუთივე მატჩი მოვიგეთ. ლუკაკუსა და სანჩესს პირველად მიეცათ სასტარტო შემადგენლობაში დაწყების საშუალება. მათ მეორე გოლზე საოცარი კომბინაცია გაითამაშეს.

ჟურნალისტებმა იკითხეს, დაიწყებდნენ თუ არა სანჩესი და ლუკაკუ ტოტენჰემის წინააღმდეგ, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღეს:

– ყველას ვითვალისწინებ, ყველა შესაძლოა იხილოთ. ეს უფრო იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ტაქტიკას მივმართავთ. ასევე იმაზე, თუ ვინ იქნება სრულიად მზად და ვინ როგორ წარდგება ჩვენ წინაშე ამ დღეების განმავლობაში. ყველა მათგანი უმაღლესი დონის ფეხბურთელია. ისინი ახლა ბევრს ვარჯიშობენ. ლუკაკუმ სამიდან სამ მატჩში გაიტანა, თუმცა 2 მათგანში სათადარიგო სკამიდან დაიწყო. დღევანდელი გოლი შესანიშნავი იყო, რომელიც ორივე მათგანის შექმნილი გახლდათ.

სოლსკიაერი ედ ვუდვორდსაც შეხვდება და იანვრის ტრანსფერებს ერთად განიხილავენ. სოლსკიაერმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი შემადგენლობით კმაყოფილია, თუმცა მაინც სურს გუნდის გაძლიერება.

ჟოზე მოურინიოს განცხადებით, ედ ვუდვორდი წარმატებულ სატრანსფერო კამპანიას ხელს უშლიდა, თუმცა ოლე გუნარს სჯერა, რომ მის მოთხოვნებს მოისმენენ და მაქსიმალურად შეასრულებენ.

– დარწმუნებული ვარ, მათ ამ სატრანსფერო ფანჯარაზე გეგმები აქვთ. ვფიქრობ, ეს გეგმა ზაფხულიდანვე მოქმედებს. ამ კლუბის სტრუქტურა ფენომენალურია, ასე რომ დარწმუნებული ვარ, მათ თავისი მიზნებით აქვთ.

მე აქ იმისთვის ვარ, რომ ამ ყველაფრის შესახებ ჩემი აზრი გავაჟღერო და დარწმუნებული ვარ, რომ მე და ედი დავსხდებით და ამ ყველაფერზე ვისაუბრებთ. მე აქ იმისთვის ვარ, რომ ამ ფეხბურთელებთან ვიმუშაო. ისინი აქამდე ძალიან კარგად ასრულებენ თავის საქმეს და ყოველთვის მიეცემათ შანსი. სწორედ ეს არის ჩემი საქმე – გავაუმჯობესო ინდივიდუალები და გუნდი მთლიანობაში.

სიტის საქმე ცუდად არის

თუ მანჩესტერ იუნაიტედი ან არსენალი პრემიერლიგაში მე-5 ადგილს დაიკავებენ, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვონ. არა, უეფა არაფერს ახალს არ იგონებს – უბრალოდ, მანჩესტერ სიტის ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირიდან მოკვეთა ემუქრება.

უეფას პრეზიდენტი ალექსანდრ ჩეფერინი ამტკიცებს, რომ პრემიერლიგის მოქმედი ჩემპიონების წინააღმდეგ გამოძიება მალე დაიწყება და გუნდის სპონსორებთან ურთიერთობას საფუძვლიანად გამოიკვლევენ.

ნებისმიერი სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გვარდიოლას გუნდს ჩემპიონთა ლიგიდან მოხსნიან. თუ ეს მოხდება, ლიგის საგზურს მეხუთეადგილოსანი კლუბი მიიღებს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სიტი სეზონს ოთხეულში დაასრულებს.

ჩეფერინის განაცხადებით, მან ერთი კონკრეტული შემთხვევის შესახებ იცის და აუცილებლად საჭირო ზომებს მიიღებს. სავარაუდოდ, ეს 2014 წელს მომხდარ ფაქტს ეხება, როცა ქალაქელებმა „ფინანსური ფეარ პლეის“ წესები დაარღვიეს.

– კლუბი, რომელიც არ არის აღიარებული შეჯიბრში მონაწილე გუნდად, უნდა შეიცვალოს სხვა გუნდის მიერ, რომელიც უეფას მიერ დაწესებულ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, – ნათქვამია უეფას წესდების 4.07 მუხლის მეოთხე პუნქტში.

ასე რომ, არსენალი და მანჩესტერი ახლა ჩეფერინის სიტყვებზე ლოცულობენ.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ლორდი სექსსკანდალში გაეხვია

ბრიტანელი ლორდი ედი დევენპორტი სექსსკანდალის ცენტრში აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ტიუდორ სიმონოვის ერთ-ერთი მცველის, რომელიც მის კერძო სექსწვეულებას იცავდა, მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ დევენპორტმა ახალი სექსწვეულება გამართა, რომელზეც შესვლა კაცი 1000 ფუნტი სტერლინგი ღირდა.

წარმოშობით რუმინელმა სიმონოვმა სასიკვდილო ჭრილობა სექსწვეულების წინ მომხდარი არეულობის დროს მიიღო, რომლის ერთ-ერთ ორგანიზატორად მედიამ დევენპორტი დაასახელა.

მომხდარის მიუხედავად, ერთი დღის შემდეგ დევენპორტმა მეზობელ ქუჩაზე საკუთარ აპარტამენტებში მსგავსი შინაარსის ახალი ღონისძიება გამართა. გამოცემის ინფორმაციით, წვეულების ფოტოსურათებზე გოგონები ხელოვნების ნიმუშების, ძვირფასი ჭაღისა და მრავალფეროვანი დისკობურთის ფონზე პოზირებდნენ.

აღსანიშნავია, რომ 52 წლის დევენპორტი ადრე ნასამართლევი იყო და სამი წელი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ინვესტორების მოტყუებისთვის.

ბრიტანელმა აუქციონზე შემთხვევით იყიდა სეიფი, რომელშიც განძი აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა სატელევიზიო აუქციონზე შემთხვევით იყიდა სეიფი, რომელშიც 5,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა თავად სეიფში სულ რაღაც 390 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

აღსანიშნავია, რომ სეიფის მაშინვე გაღება ვერ მოხერხდა. ამისთვის ბრიტანელს სპეციალური ხელოსნის მომსახურებით სარგებლობა მოუხდა. სხვათა შორის, პირველმა ხელოსანმა ამოცანას თავი ვერ გაართვა და სეიფის გახსნა მხოლოდ მეორე ხელოსანმა შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი 7 იანვრისათვის

ვერძი – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვევთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი



1. საფუტკრე; 2. შლამის თევზი; 3. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 4. ცეცხლის ანადენი; 5. ... ბესინჯერი; 6. „... შეჯდა მწყერი ხესა“; 7. ერთხმიანი საოპერო პარტია; 8. სუსტი არაყი; 9. მსუბუქი ნამცხვარი; 10. რისამე საგანგებო ნარევი; 11. „..., დამაცადე!“; 12. ... ტაისონი; 13. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 14. კაენის ძმა; 15. ... გიბსონი; 16. ბუნებრივი საღებავი; 17. ქიმიური ელემენტი; 18. ნაპოლეონის მარშალი; 19. ტროპიკული ხილი; 20. მდინარის მტაცებელი თევზი; 21. კუნთებზე მიმანიშნებელი წინსართი; 22. ბერძნული ანბანის ასო; 23. ლეოპარდი; 24. მწუხარების გამომხატველი შორისდებული; 25. ჭადრაკის ფიგურა; 26. რომან „კენტავრის“ ავტორი; 27. ნიავი; 28. ორიანი ნარდში; 29. ერთეული ვექტორი; 30. თხევად და ფხვიერ ნივთიერებათა საწყაო ძველად; 31. ... მარქსი; 32. ეკრანი; 33. მიწის ფართის ინგლისური საზომი ერთეული; 34. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. იზორია; 6. თუთიყუში; 8. ნიანგი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. დელტა; 17. კობზა; 18. ვაშლი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. სიათა; 7. მალხაზი; 9. ასტურია; 10. ფრიზერი; 13. გუდვილი; 14. ფეტიში; 15. მომა; 19. ოჯალეში; 20. კოსინუსი; 21. სალუქვაძე; 22. დინარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოტენცია; 2. თერძი; 3. სტიუარდი; 4. ჟიგული; 7. ოდესა; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. სოკერი; 15. ანოქსია; 17. კაქტუსი; 20. ატაშე.

თარაზულად: 5. ქობულეთი; 6. კატრანი; 8. ბრძმედი; 10. ვესტერნი; 11. აილამა; 13. ოპიზარი; 16. სიმენონი; 18. დაიმი; 19. ჟოკეი; 21. სტურუა; 22. კინტრიში; 23. პარსეკი.

რამაზ იოსელიანი ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა

მსახიობი რამაზ იოსელიანი ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობის მეგობარმა თეო ტლაშაძემ გაავრცელა:

– ჩემს უახლოეს მეგობარს, უკარგეს ადამიანს, უნიჭიერესს, დიდ მსახიობს რამაზ იოსელიანს ვულოცავ ფოთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნას და ვუსურვებ დიდ წარმატებებს!

ასევე ვულოცავ ფოთელებს ამ გამართლებას და გჯეროდეთ, სულ მალე ერთ-ერთი გამორჩეული თეატრი გექნებათ თქვენ. ეს დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რადგან გვაქვს გორის თეატრის მაგალითი სახეზე, როდესაც რამაზმა გააცოცხლა, აღადგინა და წარმატებით ატარა დასი მისი ხელმძღვანელობით.

გულით გილოცავ რამაზ!

თეო ტლაშაძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ფოთის თეატრმაც დაადასტურა, თეატრის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის გადაწყვეტილებით დაინიშნა:

– ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის გადაწყვეტილებით აღნიშნულ პოსტზე რამაზ იოსელიანი დაინიშნა.

რამაზ იოსელიანი თბილისში დაიბადა. მან წარჩინებით დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე რამაზ იოსელიანი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა თითქმის ყველა დიდი თეატრის სცენაზე, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, მეტეხის თეატრში, რუსთაველის აკადემიური თეატრში, გრიბოედოვის თეატრში, თავისუფალ თეატრში.

იგი იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის, შემდგომში უნივერსიტეტის სასცენო მეტყველების კათედრის პედაგოგი, მსახიობის ოსტატობის კათედრის პედაგოგი, დოცენტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურის უნივერსიტეტის მსახიობის ოსტატობის კათედრის პედაგოგი, დოცენტი, საზოგადოებრივ მაუწყებელში გადაცემების ავტორი, რედაქტორი, პროდიუსერი, წამყვანი, გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი, საქართველოს რეგიონული თეატრების ასამბლეის დამფუძნებელი, საბავშვო თეატრ-სტუდია „მაცაცერას“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

რამაზ იოსელიანის თანამშრომლობა ფოთის თეატრთან დაიწყო 2008 წლიდან რეჟისორის ამპლუაში, როცა ფოთის თეატრის სცენაზე დადგა სპექტაკლი „ქვრივთა ნუგეშისმცემელი“, შემდგომ იყო კომედია „სხვისი შვილების მამა“.

რამაზ იოსელიანი 2013 წლიდან ფოთის თეატრის მსახიობია. მონაწილეობდა ირაკლი გოგიას მიერ დადგმულ სპექტაკლში „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“.

რამაზ იოსელიანმა ითამაშა პოლონელი რეჟისორის დარიუშ ეჟერსკის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ჩარეცხილები“, რისთვისაც დაჯილდოვდა შჩეჩინის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე პოლონეთში როგორც საუკეთესო მამაკაცი მსახიობი. ამავე როლით კრიტიკოსების მიერ მოხვდა საუკეთესო მამაკაც მსახიობთა რეიტინგულ ხუთეულში.

2019 წლის 5 იანვარს თეატრის ახლად დანიშნული სამხატვრო ხელმძღვანელი რამაზ იოსელიანი დირექტორ თენგიზ ხუხიასთან ერთად შეხვდა თეატრის მსახიობებს, შემოქმედებით ჯგუფს, ტექნიკურ პერსონალს და თეატრის განვითარების მომავალ გეგმებზე ვრცლად ისაუბრა.

რამაზ იოსელიანი კარგად იცნობს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრს, რაც იძლევა თეატრის მომავალი წარმატების წინაპირობას.

ალიშია ქისი დემნას სამოსში პოზიორობს

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი ალიშია ქისი ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას სამოსში პოზიორობს.

ვარსკვლავმა ბალენსიაგას ბრენდით გამოშვებული სამოსი მოირგო და ათასობით გულშემატკივარს ახალი ფოტოსესია შესთავაზა.

დემნა გვასალიათი და მის მიერ შექმნილი კოლექციებით სულ უფრო მეტი უცხოელი ვარსკვლავი ინტერესდება.

ქართველი დიზაინერის ნამუშევრებით თავს იწონებენ მიშელ ობამა, სელენა გომესი, მაილი საირუსი, ნიკოლ კიდმანი, ალიშია ქისი, ადრიანა ლიმა...

„ჩხიკვთა ქორწილი“ ღია ცის ქვეშ გაიმართება

ანსამბლ „ივერიის“ ლეგენდარული მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი“ 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ღია ცის ქვეშ, რესპუბლიკის მოედანზე იქნება წარმოდგენილი.

ალექსანდრე ბასილაიას მიერ დაწერილ მიუზიკლში, „ივერიის“ პირველი თაობის წევრებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ ახალი თაობის მომღერლები. ჩხიკვების ქეთევანისა და ზაქარას როლს ნუცა ბუზალაძე და ანდრია გველესიანი შეასრულებენ.

„ჩხიკვთა ქორწილის“ ეს ვერსია ანსამბლმა „ივერიამ“ ზაფხულში ბლექ სი არენაზე წარმოადგინა და ახალი შემადგენლობით დადგმულმა მიუზიკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამჯერად შობის დღესასწაულზე მიუზიკლი ღია ცის ქვეშ ყველასთვის იქნება წარმოდგენილი და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

ნუგზარ თუშიშვილმა პატრიარქს ჰიმნი მიუძღვნა

კომპოზიტორმა ნუგზარ თუშიშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ჰიმნი მიუძღვნა.

„უწმინდესის მხედრობის ჰიმნი“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა და ანსამბლმა „უნისონმა“ შეასრულეს.

ტატო გოდერძიშვილი:

– იუბილეს ვულოცავ ჩვენს საყვარელ სულიერ მამას, ადამიანსა და ცოცხალ წმინდანს, ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქს ილია მეორეს...

ჩოხოსნების სახელით ვუძღვნით ჩვენივე ჰიმნს, რომელიც მისივე კურთხევით ჩაიწერა... იჯანმრთელეთ, დიდხანს იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ გაავრცელა:

– გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი. ბატონმა ელგუჯამ 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში, მუშაობდა დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში, მხატვრულად აფორმებდა წიგნებს, არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პრეზიდენტ ლინკოლნის საშობაო წერილი აუქციონზე გაიყიდა

აშშ-ის მე-16 პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის წერილი, რომელიც მან შობისთვის თავისი მეუღლის ნათესავებს გაუგზავნა, აშშ-ში აუქციონზე 60 ათას დოლარად გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ წერილი 1861-65 ამერიკის სამოქალაქო ომის წლების დროს იქნა გაგზავნილი. ამასთან, პრეზიდენტის მეუღლის ნათესავები არკანზასის შტატში ცხოვრობდნენ და ომამდე მონათმფლობელურ პლანტაციას ფლობდნენ, საიდანაც ისინი ჩრდილოელთა არმიამ გაყარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წერილში ლინკოლნი მოუწოდებდა, მათთვის ხელი არ ეხლოთ, „სანამ მისტერ და მისის კრეიგები (ლინკოლნის მეუღლის ნათესავები) იქცეოდნენ, როგორც აშშ-ის მშვიდობიანი და ერთგული მოქალაქეები“. ასევე ის დაპირისპირებულ მხარეებს გაერთიანებისკენ მოუწოდებდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლინკოლნმა აღნიშნული წერილი 1863 წლის შობამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა.

კალეიდოსკოპი

უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვები მშობლებს სტერილიზაციას ურჩევენ



აბორტის მოწინააღმდეგენი ბრიტანეთის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ გრიმსბიდან, რომლებმაც სამი ბავშვი დაკარგეს მძიმე მემკვიდრეობითი დაავადების მიზეზით, ჩივიან მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკისა და შეურაცხყოფის გამო.

33 წლის ადელ ლეიკიმ თავის შვილებს გადასცა ლეიას სინდრომი, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემას აზიანებს. სამი ბავშვი, რომლებიც მან გააჩინა, უკვე გარდაიცვალა, ამასთან, დაავადების გამო ისინი ვერც ლაპარაკსა და ვერც სიარულს ვერ ახერხებდნენ. მისი რვა წლის გოგონა, ჯეიდი, ჯერჯერობით ცოცხალია, თუმცა მისი გონებრივი განვითარება ორი წლის ბავშვის ასაკის დონეზეა გაჩერებული. გოგონას მდგომარეობა უარესდება და მისი განკურნების იმედი არ არსებობს.

46 წლის კრეიგ ლეიკმა, ბავშვების მამამ, განაცხადა, რომ ყველგან არაკეთილმოსურნეებთან უწევს შეხება.

– რას აღარ გვიწოდებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ჩემი სტერილიზება იყო აუცილებელი, ქუჩაში ბავშვებს შეურაცხყოფდნენ, – აცხადებს კრეიგ ლეიკი.

ოთხივე ბავშვის ჩასახვა შემთხვევით მოხდა. მართალია, მშობლებისთვის რისკის ფაქტორი ცნობილი იყო, მაგრამ მათმა რწმენამ აბორტზე უარი ათქმევინა.

– ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, ჩვენ მართლები ვართ თუ არა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება მაინც ცხოვრებაა, – ამბობს ლეიკი. მისი თქმით, არც თავად და არც ადელი მეხუთე ბავშვის ჩასახვას აღარ აპირებენ და იმედი აქვთ, რომ მეხუთე ფეხმძიმობას თავიდან აიცილებენ.

ტაილანდში ტურისტები ქარიშხალ „პაბუკის“ ტყვეობაში აღმოჩნდნენ

ათეულათასობით ტურისტმა ვერ მოახერხა ტაილანდის კუნძულის დატოვება, რომელსაც ქარიშხალი „პაბუკი“ დაატყდა თავს.

ქვეყნის ხელისუფლებამ რეგიონში ავია და საბორნე მიმოსვლა შეწყვიტა. ადგილობრივმა ავიაკომპანია ბანგკოკმა კუნძულ სამუიზე ყველა რეისი გააუქმა. დახურულია აეროპორტი „ნაკხონსიტხამარატი“.

კუნძულ სამუიზე, რომელიც ამჟამად მატერიკს მთლიანად არის მოწყვეტილი, 20 ათასი ტურისტია დარჩენილი. ასევე დაახლოებით 15 ათასი ტურისტი იმყოფება კუნძულ პხანგანზე, ხოლო კუნძულ ტაუზე კიდევ ოთხი ათასამდე ტურისტია. ქარის სიჩქარე 20,8 მეტრს აღწევს წამში. სავარაუდოდ, ქარიშხალი რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ 67 წლის განმავლობაში ეს პირველი ქარიშხალია, რომელმაც ტაილანდამდე მიაღწია. ასეთი რამ 1962 წლის შემდეგ აღარ მომხდარა. მაშინ ქარიშხლის შედეგად ქვეყნის 12 პროვინცია დაზიანდა და დაახლოებით 900 ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6744

ევრო — 3.0491

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3895

100 რუსული რუბლი — 3.9241

ამინდის პროგნოზი 7 იანვრისთვის

8 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი
საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

10 იანვრიდან



რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

კახი კანდელაკი: „მიხეილ გიორგაძე უკეთესად არის“

კულტურის ყოფილი მინისტრის მიხეილ გიორგაძის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მისმა მოადგილე კახი კანდელაკმა უახლესი ინფორმაცია გაავრცელა.

მიხეილ გიორგაძე გასული წლის ნოემბერში ავარიაში მოყვა. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო იგი თურქეთში სასწრაფოდ გადააფრინეს.

კულტურის ყოფილი მინისტრის მოადგილე კახი კანდელაკმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ფოტო, სადაც მიხეილ გიორგაძე თურქი მედიკოსების გარემოცვაშია გადაღებული.

გავრცელებული ინფორმაციით, კულტურის ყოფილი მინისტრი თავს კარგად გრძნობს, თავისით დგება, ჯდება, დადის, ვარჯიშობს და საქართველოშიც სულ მალე დაბრუნდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მძარცველებმა ინკასატორის მანქანას გზა ალმოდებული მანქანებით გადაუღობეს და ფული გაიტაცეს

სამხრეთ იტალიაში შეიარაღებულმა მძარცველებმა ინკასატორების მანქანა დააყაჩაღეს და მილიონი ევრო გაიტაცეს.

ქალაქ ბარის მახლობლად ორმა ალმოდებულმა სატვირთო ავტომობილმა დაჯავშნილ ავტომობილს, რომლითაც პენსიის გასაცემი თანხა გადაჰქონდათ, გზა გადაუღობეს. როდესაც მანქანა გაჩერდა, მისი სახურავი ექსკავატორების ციცხვებით გახსნეს. ნიღბიანმა ბოროტმოქმედებმა დაცვის თანამშრომლები ავტომატებიდან გახსნილი ცეცხლით დააშინეს, 2,3 მილიონი ევრო წაიღეს და შემთხვევის ადგილიდან ორი მსუბუქი ავტომობილით მიიმალნენ.

ამ ინციდენტის შედეგად დაცვის თანამშრომლები არ დაშავებულან. გზატკეცილზე მოძრაობა რამდენიმე საათის განმავლობაში იყო გადაკეტილი, სანამ პოლიცია შემთხვევის ადგილს ათვალიერებდა, ხოლო ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლები დამწვარი მანქანებისგან გზას ათავისუფლებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ დაღლილ დედას შვილი შეეგებება და ახარებს:

– დედიკო, მე ჭურჭელი გავრეცხე!

– ყოჩაღ, შვილო!

– დედიკო, მე იატაკიც მოვრეცხე!

– ყოჩაღ, შვილო!

– დედიკო, ჩვენი კატა მაკედაა!

– ყოჩაღ, შვილო!

•••

ცოლი და ქმარი ექიმთან მიღებაზე. ექიმი ეკითხებათ:

– აბა, რა გაწუხებთ?

– იცით რა ექიმო, – ეუბნება ცოლი, – ჩემ ქმარს ნაადრევი ეიაკულაცია აწუხებს.

– მე? არა ექიმო! მე კი არა, მას აწუხებს.

•••

მეგობრები ქეიფობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ხომ ვართ მეგობრები?

– ვართ.

– პატივს ხომ მცემ?

– რა თქმა უნდა.

– ხომ გიყვარვარ?

– აბა რა.

– ჩემი გულისთვის, თუ საჭირო გახდა, თავს ხომ მოიკლავ?

– რა, შენ არ გცალია თუ?

•••

ქმარი გუგლში წერს:

– როგორ ამოვიცნო ცოლი-ჯადო?

ამ დროს სამზარეულოდან ესმის:

– პირდაპირ რომ მკითხო, არა?

•••

ჰიდრომეტცენტრში ტელეფონი რეკავს:

– ალო, თქვენ მანდ სულ მთლად გამოშტერდით? გარეთ ცივა, ქარია, თქვენ კი აცხადებთ, 22 გრადუსი სითბოაო!

– იცით, რაშია საქმე, ახალი ხელმძღვანელობა გვყავს. ადრე მთავრობაში მუშაობდნენ და ამიტომ მხოლოდ დადებითი მონაცემების გამოქვეყნებას მოითხოვენ.

•••

თანამშრომელი თავის უფროსს ეუბნება:

– თქვენ ჩემი გათავისუფლება არ შეგიძლიათ.

– ვითომ რატომ?

– მონის მხოლოდ გაყიდვა შეიძლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მეგან მარკლი კეიტ მიდლტონს განსაკუთრებულ საჩუქარს უმზადებს

ბრიტანეთის პრინცჰარის მეუღლე მეგან მარკლი პრინც უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონს დაბადების დღისთვის განსაკუთრებულ საჩუქარს უმზადებს.

ეს ახალი ამბავი გავრცელდა იმ ჭორების ფონზე, რომელიც სამეფო ოჯახში წარმოშობილ უთანხმოებას უკავშირდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალ კვირას კემბრიჯის ჰერცოგინიას 37 წელი უსრულდება. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მეგან მარკლმა კეიტ მიდლტონს აჩუქა დღიური საკუთარი გრძნობებისა და აზრების ჩასაწერად. მაშინ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს საჩუქარი ღირსეულად შეფასდა.

მეგან მარკლის მამა პრინც ჰარის ემუქრება

სასექსის ჰერცოგინიას მამა ტომას მარკლი დიდი ბრიტანეთის პრინც ჰარის დაემუქრა და შეჰპირდა, რომ „უფრო ხმამაღლა“ ალაპარაკდება, თუ მეგანი და ჰარი მასთან ურთიერთობისგან ისევ თავს შეიკავებენ.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტომას მარკლის დღემდე ვერ გაუგია, თუ რატომ არ ელაპარაკება მისი ქალიშვილი ბრიტანული ტელეარხებისთვის მიცემული უამრავი ინტერვიუს შემდეგ და შეეცადა, ჟურნალისტებთან კიდევ ერთი გასაუბრების წყალობით სასექსის ჰერცოგინიას შერიგებოდა.

უკანასკნელ ინტერვიუში ტომას მარკლმა აღიარა, რომ ხშირად არასწორად იქცეოდა, თუმცა, ამავე დროს, პრინც ჰარის „ქედმაღალი“ უწოდა და პირობა დადო, რომ პრესასთან მეგანზე დაწვრილებით საუბარს გააგრძელებს, თუ ის მასთან ურთიერთობას არ დაამყარებს.

მონაკოს კნეინამ სანტა-კლაუსი მოინახულა

მონაკოს კნეინა შარლენი თავის შვილებთან ერთად ესტუმრა სანტა-კლაუსს. ამის თაობაზე ინფორმაციას ის ინსტაგრამში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

შარლენმა საკუთარ პოსტში ახალი წლის დადგომა ყველას ლაპლანდიიდან მიულოცა.

– შევხვდით სანტას, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ მან ყველას დაურიგა საჩუქრები, – წერია შარლენის კომენტარში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. ფრანგი მწერალი; 3. მზის სისტემის პლანეტა; 8. შვედი გეოგრაფი (1887-1974); 10. წერილობითი გამოწვევა დუელში; 11. ექსპოზიცია ანუ ...; 12. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 14. საუკეთესო ფეხბურთელი, მოჭადრაკე; 15. ბზიკი; 16. წრეწირის ნაწილი; 19. სიტყვის წინსართი – ფარულის, საიდუმლოს აღმნიშვნელი; 20. იაპონელი მეომარი ძველად; 21. ყელის ლორწოვანი გარსის ანთება.

შვეულად: 1. კუთხის შუაზე გამყოფი სხივი; 2. ფოტოაპარატების ფირმა; 3. ქალაქი იტალიაში; 4. გემის ან ავტომობილის გასავლელი გზა საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; 5. მარადმწვანე მაღალი ბუჩქი; 6. მდინარე საფრანგეთში; 7. მოწყობილობა, რომელიც გრაფიკულ ინფორმაციას იძლევა; 9. ჰიგიენური საშუალება; 13. ... ჩიმარო; 17. ჯუჯა კამეჩი; 18. მემამულე აღმოსავლეთის ქვეყნებში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ